საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 11 აგვისტო, 2015 წელი.

№149 (7794)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელშიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფცქვილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

„რუსთავი-2“ იდეოლოგიური ტერორისტია!

მხოლოდ არსებული ხელისუფლების დასამხობად მოწოდებულ, მაგრამ სინამდვილეში ვითომ დემოკრატიისა და თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლ „რუსთავი-2“-ს, როცა თვითონ შეეხო სამართლიანობის დემოკრატიული პროცესი, როცა ტელეკომპანიის ნამდვილმა მფლობელებმა (როგორც „პოსტ-კრიპტუმში“ ითქვა, ყველაზე დიდი წილი „რუსთავი-2“-ში ჰქონდა მაშინდელ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარს ქიბარ ხალვაშს), რომელნიც თავის დროზე ნაციონალთა ჩვეული ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი კუთვნილი წილი მოითხოვეს, „რუსთავი-2“-მა და მისმა ცნობილმა დემაგოგმა დირექტორმა (უშუალოდ სააკაშვილისგან ხელდასხმულმა) გვარამიამ ჩვეულ პროვოკაციას მიმართეს და საზოგადოებას უსირცხვილოდ ატყუებენ, რომ ამ ძველი კანონიერი მფლობელების გვარები მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის ფსევდონიმებია, ანუ იგი და პირადად ხელისუფლება ებრძვის „ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის“ (ასეთად მიაჩნიათ თავიანთი თავი, მაააშ!) მართალ სიტყვას.

არადა, ყველა ჭკუათმყოფელი ხვდება, რა შუაშია აქ ხელისუფლება, როცა საქმე დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

ავ მუქარებზე გადასულო მიშას დანიშნულო დირექტორო გვარამია, თქვენი ბოლოდროინდელი წვერმოშვებულობა, რაღაც ცუდის მომასწავებლის წინასწარ გლოვად ხომ არ უნდა აღვიქვათ?!

ისე, ჩვენცა გვაქვს ერთი შემხვედრი შეკითხვა: იმ არცთუ შორსმჭვრეტელი თხუნელისა არ იყოს, თუ სიმართლე თქვენს მხარეზეა, წინასწარ რატომ ითხრით ქვეყნის სიკეთის მაგ ვერდამნახველ თვალებს?

უყურე შენ, პატარძალივით გაუტაციათ!

შსს-ს განცხადება და გატრეტილი კარბელას ზღაპრები

შინაგან საქმეთა სამინისტრო დეპუტატ გიორგი კარბელაშვილთან დაკავშირებით მომხდარ ფაქტზე განცხადებას ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, შსს-ს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბორჯომი-თბილისის ავტომაგისტრალზე მოძრავი შავი ფერის „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანა ავტოსაგზაო წესების დარღვევისთვის გააჩერეს.

„ავტომანქანას პარლამენტის წევრი გიორგი კარბელაშვილი მართავდა, რომელმაც დოკუმენტაციის და ალკოტესტით სტანდარტული შემოწმების მოთხოვნის პასუხად საპატრულო ეკიპაჟის წევრებს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც გიორგი კარბელაშვილი და მისი თანმხლები პირი — ე.ბ. უახლოეს განყოფილებაში, ოსიაურში გადაიყვანეს. მოგვიანებით, ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ პარლამენტარი გიორგი კარბელაშვილი ავტომანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა მისი თანმხლები პირიც. შემოწმების ჩატარების შემდეგ გიორგი კარბელაშვილმა პოლიციის განყოფილება დატოვა, ხოლო ე.ბ. დაკავებულია“, — ნათქვამია განცხადებაში. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობის, მუქარის ან ძალადობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით) მიმდინარეობს.

* * *

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გიორგი კარბელაშვილი აცხადებს, რომ 6 საათის განმავლობაში გატაცებული ჰყავდათ. როგორც კარბელაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს განუცხადა, მას სხეულზე ბევრი ტრავმა აქვს მიყენებული. კარბელაშვილი სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში იმყოფებოდა, სადაც საკუთარი ინიციატივით ექსპერტიზა ჩაუტარდა. „ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია, გატაცება. რამდენიმე საათის განმავლობაში, არც კი ვიცი, სად მამოძრავებდნენ. ქვიშხეთის ასახვევთან, დაახლოებით 50 მეტრში მანქანიდან გადმომაგდეს, გვეცნენ. მომიტაცეს, რამდენი იყვნენ, ვერ გავიგე. როგორც ამბობენ, რამდენიმე ათეული კაცი იყო“, — განაცხადა კარბელაშვილმა.

მსგავსი დანაშაულისთვის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მთვრალ და „მოკაიფე“ პარლამენტარს პარლამენტიდან აგდებენ! (რედ.)

◎ ინფორმაცია

პურის ან ხორბლის გაძვირება არალოგიკურია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებით, ხორბლის ან პურის ფასის მატება არც ერთ ლოგიკას არ ექვემდებარება.

როგორც ოთარ დანელიამ განაცხადა, ამ თემასთან დაკავშირებით, რამდენიმე შეხვედრა გაიმართა და რამდენიმე შეხვედრაც დაგეგმილია.

„არც ერთ ლოგიკას არ ექვემდებარება, ხორბლის ან პურის ფასის მატება, შესაბამისად ჩვენს ხელთ არსებული ყველა მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რომ ამის პრევენცია მოხდეს. თუ რამე ხელშეწყობაა საჭირო სახელმწიფო მხრიდან, ჩვენ ამ დარგს ხელს შევუწყობთ, მაგ-

რამ ლოგიკას ნამდვილად არ ექვემდებარება. ჩვენ დეტალურად ვსწავლობთ, თუ რაშია საქმე“, — განაცხადა დანელიამ.

კითხვაზე რა იგულისხმება ხელშეწყობაში, დანელიამ აღნიშნა, რომ წისქვილკომპინატებს აქვთ პრობლემები, რაც მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში უნდა მოგვარდეს.

მისივე თქმით, „ხორბლის მარაგიც გვაქვს და ზოგადად ბაზრებზე ხორბალიც გაიაფებულია“.

პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელმა მალხაზ დოლიძემ გააკეთა განცხადება, რომ ბაზარზე პურის გაძვირების პროცესი დაწყებულია.

◎ საგანგებო სიტუაცია

რატომ გაძლიერდა ნაციონალური შხამის ნთხევა ნიკა გვარამიას პანდორას ყუთიდან?!

სასამართლომ „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ ქიბარ ხალვაშის სარჩელი წარმოებაში მიიღო

„რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ, ქიბარ ხალვაშის სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო, — განაცხადეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. როდის ჩატარდება მოსამზადებელი სხდომა, ჯერ უცნობია.

როგორც ცნობილია, ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი-2“-ის წილის დასაბრუნებლად სასამართლოში სარჩელი შეიტანა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, „რუსთავი 2“-ის პარტნიორთა წილების დაყადაღება მოითხოვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ აგვისტოს ბიზნესმენის ქართველმა და უცხოელმა ადვოკატებმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს. ტელეკომპანიის დაბრუნების შემთხვევაში ქიბარ ხალვაში პირობას დებს, რომ ჟურნალისტებს, მთელ შემოქმედებით გუნდს გარანტირებული ექნებათ საქმიანობის საუკეთესო პირობები, სრული ჟურნალისტური თავისუფლება და სარედაქციო ჩაურევლობა.

ადვოკატების განმარტებით, სასწრაფო ზომების მიღება აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც შეიტყვეს, რომ კიდევ ერთხელ იგეგმება „რუსთავის 2“-ის წილების გადაფორმება, რათა წილების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნება გართულდეს. ადვოკატ პაატა სალიას განცხადებით, „რუსთავი-2“-ის წილების დაყადაღება მათ საშუალებას მისცემს აღიკვეთოს პოტენციური თვალთმაქცური გარიგება და შენარჩუნდეს ქონების დაბრუნების შანსი.

ადვოკატის თქმით, სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა ქიბარ ხალვაშმა ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს პროკურატურას „რუსთავის-2“-ის იძულებით ჩამორთმევის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა. მისივე განცხადებით, დღევანდელი ხელისუფლების პირიობებშიც ხალვაშმა არაერთხელ მიმართა პროკურატურას, როგორც „რუსთავი-2“-ის, ასევე სხვა ქონების ძალადობრივი ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების მოთხოვნით, მაგრამ პასუხი არ ჩანს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, „რუსთავი-2“-ის პარტნიორების წილებსა და ტელეკომპანიის ქონებას ყადაღა დაედო. „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სასამართლოს 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით, „რუსთავი-2“-ის ქონება სრულად დაყადაღდა და ყადაღა დაედო სამაუწყებლო კომპანიის მფლობელთა წილებს. არხის მეწილეებს აეკრძალათ ტელეკომპანიის სახელით ვალდებულებების აღება, რეორგანიზაცია, წესდებაში ცვლილებების შეტანა, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა. ასევე დაყადაღებულია „რუსთავი-2“-ის სახელზე გაფორმებულ ქონება, კერძოდ, ნაკვეთი სანდრო ეულის ქუჩაზე და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები.

„რუსთავი-2“-ს საბოლოო დავის დასრულებამდე ეკრძალება მოძრავი ნივთების, მათ შორის ტელე-რადიო სიხშირის გადამცემი მოწყობილობების, გენერატორების, ავტომობილების გასხვისება და გაქირავება. ამ ქონების ნებისმიერი სახით უფლებრივად დატვირთვა.

სასამართლომ გადაწყვეტილება ქიბარ ხალვაშის სარჩელის საფუძველზე მიიღო, თუმცა არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა „რუსთავი-2“-ის ლოგოს გამოყენების აკრძალვის შესახებ. ასევე სასამართლომ არ განიხილა არხის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების საკითხი.

არხის მეწილეები არიან: **ლევან ყარამანიშვილი — 23 პროცენტი, გიორგი ყარამანიშვილი 18 პროცენტი, ტელეკომპანია საქართველო — 51 პროცენტი და ნინო ნიჟარაძე — 9 პროცენტი.**

გაღმა მოდავე, აშკარად ნაციხტი-ნაციონალი, იურისტი ნიკა გვარამია წარმოუდგენელი მოძალადე გახდა და აქეთ ედავება ხელისუფლებას, სასამართლოს, პოლიციას, ლამის მთელ ქართველ ხალხს, „ტოტალური შიზოფრენიით“ შეპყრობილს უწოდებს და დემაგოგიურად ლანძღავს:

„ირაკლი ოქრუაშვილის მტაცებელი ქიბარ ხალვაში სხვას რომ რამის მიტაცებაში ედავება, ძალიან სასაცილო და ცინიკურია.

მე იმედი მაქვს, რომ ტოტალიტარიზმისკენ მიმავალი ხელისუფლების თანამონაწილეობას ის არ განიზრახავს და არ წაუცდება ხელი უკანონობისკენ. ეს არ არის ქიბარ ხალვაშის თამაში. თავისთავად ცხადია, ეს არის ხელისუფლების თამაში, რომელიც ბოლო პერიოდში შეპყრობილია ტოტალიტარული შიზოფრენიით და ბოლო „კოზირი“ როგორც ჩანს არის ქიბარ ხალვაში. როგორც სხვა მხარეებიდან არ გამოვიდა, ისე ამ მხარიდან არ გამოვა, მაღლა მზე იქნება და „რუსთავი-2“ იქნება იქ, სადაც არის“, — იბრიქება გვარამია.

„რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები და ყოფილი მფლობელები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე ტელეკომპანიის ირგვლივ ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს სპეციალური განცხადებით ეხმაურებიან. მათი თქმით, „რუსთავი-2“ არის ნაციონალური მოძრაობის მიერ მკაცრად კონტროლირებადი პარტიული ტელევიზია, ასრულებს მის პოლიტიკურ დაკვეთას და საერთო არაფერი აქვს დამოუკიდებელ მედიასთან.

„იმედი გვაქვს, სასამართლო პროცესი იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე და მიუკერძოებელი. ის შეძლებს გამოავლინოს და სამართლებრივი შეფასება მისცეს „რუსთავი-2“-ის სახით მედიის თავისუფლებაზე ძალადობის და მანიპულირების დანაშაულებრივ სისტემას, რომელსაც 2004 წლიდან სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებდა. ამ პროცესმა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა დემოკრატიას და სიტყვის თავისუფლებას საქართველოში. შედეგად, თავისუფალი ტელევიზიის ნაცვლად საზოგადოებამ ერთი პარტიის საკუთრებაში არსებული პროპაგანდისტული მანქანა მიიღო. ამ პოლიტიკური ძალადობის და პარტიული ტერორის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, როგორც „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები, ჩვენ აღმოვჩნდით!

ნიკოლოზ ლაცაბიძე

◎ SIC!

„ბანერების აღმართვისა და საზღვრის გადმოწევის ინიციატორები მოსკოვში სხედან

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული კონსტრუქციული ზომების მიუხედავად, მოსკოვი აგრძელებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ მცოცავი ანექსიის პოლიტიკას საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევით.

ამის ნათელი მაგალითია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესის გაგრძელება და ე.წ.საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება, რაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად, არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს,უპირველესად,თავისუფალი გადაადგილების უფლებას.

ხურვალეთისა და წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი მწვანე ბანერის დემონტაჟიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, რუსული საჯარისო დანაყოფის ე.წ. მესაზღვრეებმა აღნიშნული ბანერი კვლავ ძველ ადგილას დააბრუნეს.ბანერის სიახლოვეს შეინიშნება შეიარაღებული პირების სიმრავლეც. შესაბამისად, წითელუბნის და ხურვალეთის მცხოვრებლები ამ ტერიტორიაზე გადაადგილებისგან თავს იკავებენ.

ამასთან, ხურვალეთისა და წითელუბნის მიმართულებით არსებულ საგუშაგოებზე ქართველმა სამართალდამცველებმა დილიდან მედიის გადაადგილებაც შეზღუდეს.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი **იაგო საური** აცხადებს, შეზღუდვა გარკვეული დროით უსაფრთხოების გამო დაწესდა. რამდენი ხნის განმავლობაში იქნება მედიის წარმომადგენლებისთვის ოკუპირებული ტერიტორიის პერიმეტრის მიმართულებით გადაადგლება შეზღუდული, ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ხურვალეთისა და წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი მწვანე ბანერი რუსული საჯარისო დანაყოფის ე.წ. მესაზღვრეებმა დაახლოებით ერთი თვის წინათ დაამონტაჟეს, თუმცა მაშინ ქართველი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა იგი მოხსნა.

ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი მწვანე ბანერის აღმართვის მიუხედავად, შს მინისტრის განცხადებით, ვითარება მშვიდია.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ამბობს, რომ ახლა ცხინვალი, ისევე როგორც აფხაზეთი, მოქმედებს გენერალური მინდობილობით.

„მთელი ეს ისტორია, გინდ კონფლიქტი დაარქვით, გინდაც მცოცავი ოკუპაცია, ცხინვალი ამას აწარმოებს მინდობილობით. დღეს, ცხინვალი, ისევე როგორც აფხაზეთი, მოქმედებენ გენერალური მინდობილობით. რეალური პასუხისმგებელი ამაზე არის მოსკოვი, ცხინვალი კი მხოლოდ ფორმალური პასუხისმგებელია.

თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ შევეცდებით, რომ ეს ვითარება მხოლოდ ცხინვალს დავაბრალოთ. ცხინვალი აქ ნაკლებად არის დამნაშავე, რადგან მისი ინიციატივით არ ხდება. ამ ბანერების აღმართვის და ე.წ. საზღვრის გადმოწევის ინიციატორები მოსკოვში სხედან. ვინაიდან, ცხინვალს არ გააჩნია ის ძველი რუკები, რომლითაც დღეს მოქმედებს. ეს უდიდესი კარტოგრაფიული სამსახური იყო მოსკოვში, ეს „კარტებიც“ მოსკოვშია შენახული და სწორედ ამ 30-40 წლის წინანდელი რუკებით მოქმედებენ ახლა“, — ამბობს სოსო ცინცაძე.

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ხელისუფლებამ ამ საკითხების გარშემო მოლაპარაკება უნდა დაიწყოს.

„რეალური მოლაპარაკება უნდა დაიწყონ რუსეთთან და ამისთვის აუცილებელია, რომ ზურაბ აბაშიძეს გაეზარდოს პრეროგატივა. ან გამოვიყენოთ უკვე მრავალჯერ ნაცადი და არც ერთხელაც გამართლებული ნაბიჯი, წავიდეთ ევროსაბჭოში. აგერ ტუსკი ჩამოვიდა, მერე რა, რა გვაქვს? წავიდა ტუსკი და უკვე ნახევარ საქართველოს არ ახსოვს, ტუსკის საქართველოში ვიზიტი. ამ საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მოსკოვში და არა ცხინვალში, ბრიუსელში და ვაშინგტონში“, — ამბობს სოსო ცინცაძე.

თამარ ქარჩაიძე

მეცნიერებათა აკადემია მყარად დგას იმ პოზიციაზე, რომელსაც თქვენი მხარდამჭერები და თანამებრძოლები იზიარებენ

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ჩვენი მოკრძალებული თხოვნა იქნება, გაეცნოთ აკადემიის 2014 წლის მეტად მოკლე ანგარიშს, რომელიც მომზადდა სპეციალურად თქვენთვის.

ბატონო ბიძინა,

ცნობილია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მისი წევრები არიან უაღრესად მადლიერნი იმ უმაგალითო ხელშეწყობისათვის, რომელსაც თქვენ ახორციელებთ ჩვენს და, ზოგადად, საქართველოს მიმართ. ეს არის პატრიოტიზმის გამოვლენის უპრეცედენტო მაგალითი, რის გამოც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ თქვენს წინაშე და გვსურს დაგიდასტუროთ, რომ მეცნიერებათა აკადემია მყარად დგას იმ პოზიციაზე, რომელსაც თქვენი მხარდამჭერები და თანამებრძოლები იზიარებენ...

დღეს აკადემია არის მეტად აქტიური საკუთარი ფუნქციების გაფართოების, გაძლიერების და საერთაშორისო აღიარების გზაზე.

ჩვენი მოკრძალებული თხოვნა იქნება, გაეცნოთ აკადემიის 2014 წლის მეტად მოკლე ანგარიშს, რომელიც მომზადდა სპეციალურად თქვენთვის.

შემდგომში ყოველ წელს შემოგთავაზებთ ანალოგიურ დოკუმენტს.

ანგარიში ეძღვნება მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოღვაწეობის უმთავრეს მაჩვენებლებს; აღსანიშნავია, რომ როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი პარამეტრები 2014 წელს წინა წელთან შედარებით არის გაუმჯობესებული.

წელს ანგარიში შეიცავს სამ დოკუმენტს:

პირველი დოკუმენტი არის წიგნის სახით, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივ ყოველწლიურ ანგარიშს აკადემიის წევრების მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობის, გამოცემული მონოგრაფიებისა და მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების, მიღებული პატენტებისა და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის შედეგების, აგრეთვე ინფორმაციას პედაგოგიური და საკონსულტაციო მოღვაწეობის თაობაზე.

მეორე დოკუმენტი წარმოდგენილია ბროშურის სახით, რომელიც ეძღვნება უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშების აკადემიის მიერ რეცენზირებას და ასახავს ამ სამუშაოების მნიშვნელობას და პერსპექტიულობას, მათი დონის და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას; ეს რეცენზირება შესრულებულია უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მიერ.

მესამე დოკუმენტი, რომელიც გამოიცემა ბროშურის სახით ა.წ. სექტემბერში, წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით განხორციელებული დასრულებული საბიუჯეტო, საგრანტო და პირადი ინიციატივით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტი პირველად იქნება შედგენილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და მოგვცემს ნათელ სურათს საერთოდ საქართველოში მეცნიერების განვითარებაზე. ამ ანგარიშზე მუშაობა გრძელდება აკადემიის განყოფილებებში.

გაფართოვდა აკადემიის ურთიერთობები სამინისტროებთან და, ზოგადად, სამთავრობო სტრუქტურებთან. აკადემიაში საქმიანი ვიზიტებით იმყოფებოდნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. შედეგად განხორციელდა თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, გამოიკვეთა საერთო ინტერესები კვლევებსა და ინოვაციების სფეროში. ამგვარი მემორანდუმები გვაკავშირებს თავდაცვის, ენერგეტიკის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სოფლის მეურნეობის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან, აგრეთვე სს საპარტნიორო ფონდთან, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან. განსაკუთრებით აღვნიშნავთ აკადემიასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის დამოკიდებულებების სრული დარეგულირების ფაქტს.

მჭიდრო კავშირები მყარდება უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, მათ შორის თავდაცვითი პროფილის ინსტიტუტებთან.

2014 წელს განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით სცილდება აკადემიის ფარგლებს და საყოველთაო საქვეყნო პრობლემების გადაწყვეტას ეძღვნებოდა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ჩატარდა ღია კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემას და, ზოგადად, სასურსათო უსაფრთხოებას ქვეყანაში; კრების მასალები გამოიცა ცალკე წიგნად. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პარლამენტის წარმომადგენლებიც.

საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია ეროვნული აკადემიის და ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად ჩატარებულმა საერთაშორისო კონფერენციამ „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“, რომლის მიზანი იყო ინფორმაციის მიწოდება მსოფლიოს სიძველეთსაცავებში დაცული იმ მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექციების შესახებ, რომელთა მნიშვნელობა მეტად დიდია კავკასიის ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მოწვეული უცხოელი მეცნიერებიც.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას ემსახურება 2014 წელს აკადემიაში შექმნილი ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი. ცენტრის მიერ შემუშავებულია მრავალი პრაქტიკული რეკომენდაცია, რომელიც წარედგინა პრემიერ-მინისტრსა და შესაბამის სამინისტროებს.

აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებაზე მეტყველებს უპრეცედენტო ფაქტი – ჩინეთის ქალაქ იანტაიში ჩინეთისა და საქართველოს კვლევითი და ერთობლივი ტექნოლოგიების სატრანსფერო ცენტრის გახსნა, რომლის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ ჩინეთის სამთავრობო და პარტიული ორგანიზაციები. მეტად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, აშშ-ის სენატისგან შემოსული წინადადება ამერიკის სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი კვლევების განხორციელების თაობაზე.

კანონის შესაბამისად ყველა უნივერსიტეტი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ვალდებულია, წლიური სამეცნიერო ანგარიში განსახილველად წარუდგინოს აკადემიას; დიდი მოცულობის სამუშაოები განხორციელდა ამ ანგარიშების ექსპერტული შეფასებისთვის; თუ 2013 წელს შესრულდა სულ 216 რეცენზია, საანგარიშო 2014 წელს ამ რეცენზიათა რაოდენობამ 294-ს მიაღწია და შვიდი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და 33 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან შემოსული ამ 294 ანგარიშიდან უმაღლესი შეფასება მიიღო 124-მა, დამაკმაყოფილებელი – 168-ამ, ხოლო უარყოფითი – მხოლოდ 2-მა. 2015 წელს შემოვიდა უკვე 332 ანგარიში, რომელთაგან, წაყენებული მოთხოვნების გამკაცრების ფონზე, უმაღლესი შეფასება დაიმსახურა 114-მა, დამაკმაყოფილებელი – 205-მა, ხოლო უარყოფითი – 4-მა; 9 ანგარიში საერთოდ არ შეფასდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არ კოორდინირდება კვლევითი-სამეცნიერო სამუშაოები, რომლებიც ტარდება უცხოური გრანტებით, ან მიმდინარეობს კერძო სტრუქტურებში. აკადემია აყენებს საკითხს მათი კოორდინაციის დაწესების და სტატისტიკის დეპარტამენტში აუცილებელი ფიქსირების თაობაზე.

აკადემიაში აქტიურად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; 2013 წელთან შედარებით გაიზარდა აკადემიის წევრების მიერ როგორც საქართველოში (39-დან 43-მდე), ასევე უცხოეთში (5-დან 9-მდე) გამოცემული მონოგრაფიების რაოდენობა, ხოლო მიღებული სამეცნიერო გრანტების რიცხვმა 68-ს მიაღწია (2013 წელს იყო მხოლოდ 46); ასევე 7-დან 9-მდე გაიზარდა მიღებული პატენტების რაოდენობაც.

2014 წელს შედგა აკადემიის 3 საერთო კრება. 17 იანვარს გამართულ საერთო კრებაზე განხილულ იქნა მეცნიერების მართვის პრობლემები საქართველოში. 2 ივლისის საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა აკადემიის 2013 წლის ანგარიში, ხოლო 16 ივლისს ჩატარდა გაერთიანებული ღია კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებას (იხ. წინ), რომლის თაობაზე უკვე მოგახსენეთ.

საანგარიშო წელს ჩატარდა აკადემიური საბჭოს 17 სხდომა. ისინი მიეძღვნა ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების გადაჭრის განხილვას. შემუშავებული წინადადებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით წარედგინა რეაგირებისათვის მთავრობას. სხდომებზე განხილულ იქნა უცხოელ და ქართველ მეცნიერთა უახლესი მიღწევებისადმი მიძღვნილი 6 მოხსენება და ასევე 8 ქვეყნისათვის და ზოგადად მეცნიერებისათვის აქტუალურ პრობლემებზე.

აღსანიშნავია აკადემიის ინიციატივით საანგარიშო წლის სექტემბერში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად ჩატარებული მედიცინის ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების რიგით 44-ე კონგრესი. ამ სამეცნიერო ფორუმზე 28 ქვეყნის 120-მდე დელეგატი იქნა დარეგისტრირებული, რაც დიდი წარმატება და პატივია ასეთი დიდი სამედიცინო ისტორიისა და კულტურის ქვეყნისათვის.

აკადემიაში დამუშავდა და აკადემიურმა საბჭომ განიხილა კანონპროექტი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და განსახილველად შეიტანა პარლამენტში.

გაიმართა აკადემიური საბჭოს ორი გასვლითი სხდომა. პირველ სხდომაზე, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოსმენილ იქნა ინფორმაცია რადიაციულ ონკოლოგიაში დასხივების თანამედროვე აპარატურის გამოყენებით მკურნალობის შესახებ. მეორე სხდომა ჩატარდა ქალაქ ბათუმში, სადაც განხილულ იქნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო დაწესებულებების მიღწევები. სხდომა ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან და მთავრობასთან ერთად.

აკადემიაში მოეწყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ გამოცემული წიგნის „100 ღირსსახსოვარი სახელი“ პრეზენტაცია; წიგნში მოყვანილია მონაცემები იმ გამოჩენილ უცხოელებსა და წარმოშობით არაქართველ პირთა შესახებ, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ ან გარკვეული დროით ცხოვრობდნენ და თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართულ კულტურაში ან მეცნიერულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აკადემიიდან ზემდგომ ორგანოებში მიწოდებულ საქმიან გზავნილებათა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2013 წელს – 158; 2014 წელს – 187; 2015 წლის (6 თვის) – 143.

2014 წელს გამოვიდა აკადემიის შემდეგი პერიოდული გამოცემები:

- ➢ ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ სამი ნომერი (ინგლისურ ენაზე); მისასალმებელია, რომ „მოამბეს“ იმპაქტ-ფაქტორი იზრდება, რაც მსოფლიო სამეცნიერო წრეებში მისი ავტორიტეტის ამაღლებაზე მეტყველებს.
- ➢ ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“ სერიები:
  - „ქიმია, ტ. 40, №1-3;
  - „ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორია“ ორი ნომერი;
  - „ბიომედიცინა“, ტ. 40, № 1-12.
- ➢ „საქართველოს მათემატიკური ჟურნალის“ 21-ე ტომის 4 ნომერი (ინგლ. ენაზე);
- ➢ ჟურნალის „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ 61-ე, 62-ე, 63-ე ტომები (ინგლ. ენაზე);
- ➢ ჟურნალის „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“, 2014 წლის №1 და №2;
- ➢ ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სამ ტომად, №1(715), №2(716) და №3(717).

აკადემიაში 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა აკადემიის 60 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 39 წევრ-კორესპონდენტი.

პატივისცემით,

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ირაკლი ჟორდანია,
მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

დავეხმაროთ პარლამენტარებს ოჯახების რჩენაში!..

ახლახან პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში მაჟორიტარი დეპუტატების რეალური პორტრეტი დაგვიხატა: ეგენი უფრო ბიზნესმენები არიან, ვიდრე პოლიტიკოსებიო. ხალხშიც იგივე ხმები დადის — მაჟორიტარების უმეტესობა პარლამენტში იმიტომ შეიყვანეს, რომ ბიზნესში ჩამდგარიყო, ფული ეკეთებინა და არა ჩვენი კეთილდღეობისთვის ეზრუნაო. არიან ისეთებიც, რომლებსაც ბიზნესი არ გამოუვიდათ, მაგრამ სხვებთან მეწილეობით გააქვთო თავი.

ჰოდა, არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ფულის საშოვნელად ასე გაწვალებულ-გათათხარებული მაჟორიტარები (და არა მარტო მაჟორიტარები) პარლამენტის სხდომებსა და სესიებზე დასასწრებად ვეღარც კი იცლიან. ამან, როგორც ჩანს, ჩვენი პარლამენტის სპიკერი, ნიადაგ მშვიდი და აუღელვებელი დავით უსუფაშვილი ისე გაანაწყენა, რომ უკმაყოფილება ვეღარ დაფარა, გამცდენ დეპუტატთა გვარები პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ გამოაჭენა და განაცხადა, ამიერიდან „ოჯახური პირობებისა გამო“ გაცდენები საპატიოდ აღარ ჩაითვლებაო.

ამან ჩემზე, როგორც რიგით ამომრჩეველზე, ძალიან იმოქმედა, გადავწყვიტე, სპიკერის მხრიდან „უსამართლოდ დაჩაგრულ“ დეპუტატებს გვერდში ამოვდგომოდი, რაც საჯაროდ გამოვხატე კიდეც ჩემი ავტორობით პრესაში („საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივნისი, 2015 წელი) გამოქვეყნებულ სტატიაში: „დავეხმაროთ პარლამენტარებს ბიზნესის კეთებაში“. ამ გაუგებრობაში, ვწერდი მაშინ, რაც საპარლამენტო სხდომების გაცდენებთან დაკავშირებით „საპატიო“ და „არასაპატიო“ მიზეზების ძიებას მოჰყვა, მარტო გამცდენი პარლამენტარები როდი ტყუიან. ის, ვინც ამ მიზეზებს სწავლობდა, უნდა გაეთვალისწინებინა, რომ პარლამენტი ბიზნესმენებით არის გამოტენილი და მათ თუ მთელი დრო სხდომებზე თვლემაში გაატარეს, საკუთარი ბიზნესი ჩაუვარდებათ. ასევე მსახიობებს და რეჟისორებს (ისინიც არ აკლია პარლამენტს) სპექტაკლები ჩაუვარდებათ, სპორტსმენებს — საწვრთნელი ვარჯიშები, მოქეიფე პოლიტიკოსებს — დილის ხაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

სტატიაში რეკორდსმენი გამცდენების კობა ნაყოფიასა და დავით ბეჟუაშვილის მაგალითებიც მოვიყვანე, რომელნიც, დიდი ბიზნესი რომ არ ჩაუვარდეთ, არაადამიანურ ჯაფაში არიან. მათ თუ ძვირფასი დრო თბილისიდან ქუთაისში სირბილს და პარლამენტის სხდომებზე უაზრო ყვინთვას მოანდომეს, ბიზნესი გაუბერწდებათ, თავადაც გაკოტრდებიან და ბიუჯეტსაც აზარალებენ. ჰოდა, თავად რომ მოგებული დარჩნენ და სახელმწიფო ბიუჯეტმაც იხეიროს, არ დავიზარე და მკითხველი საზოგადოების წინაშე მორალური მხარდაჭერა გამოვუცხადე.

ვიფიქრე, ჩვენზე მზრუნავი პარლამენტარები მორალურად გავამხნევე და ამით დიდი საქმე გავუკეთე-მეთქი, მაგრამ თურმე სადა ხარ? როგორც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებული საინფორმაციო სააგენტოს (ნსპ.გე) ცნობაში ამოვიკითხე, თურმე ჩვენ საყვარელ დეპუტატებს მორალურზე უფრო მეტად ამომრჩეველების მატერიალური მხარდაჭერა და დახმარება (რა თქმა უნდა, ბიუჯეტის მეშვეობით) სჭირდებათ, რათა სარჩო-საბადებელი, მზრუნველობა და კეთილდღეობა არ მოაკლონ საკუთარ ოჯახებს.

„პარლამენტის წევრ ირმა ნადირაშვილს საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისთვის, — ვკითხულობთ ხსენებულ ცნობაში, — ყოველთვიურად 833 ლარი ირიცხება. ამ მიზნით, 2013 და 2014 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან იდენტური ოდენობის თანხა დაიხარჯა. რაც შეეხება წინა პერიოდს, 2012 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ნადირაშვილმა, შრომის ანაზღაურების გარდა, 7.847 ლარი მიიღო, აქედან 1.855 ლარი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისათვის, ხოლო 5.992 ლარი პრემიისა და დამატებითი პრემიის სახით.

პარლამენტის აპარატის მიერ მოწოდებული მასალების თანახმად, 2012 წლის ნოემბრიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით, ნადირაშვილის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისათვის სულ 21.865 ლარი დაიხარჯა“.

მკითხველო, მოდი და ნუ გაიკვირვებ! ქალბატონი ირმა მინაზებული, მაპროვოცირებელი ხმით რომ თათხავს ხოლმე ტელეეკრანიდან დღევანდელ უნიათო ხელისუფალთ გაუმაძღრობისა და პრემია-დანამატების უნამუსოდ აღებისათვის (ვითომ თვითონ უცოდველი კრავი გვყავდეს), ნახეთ თურმე რა პრემიებსა და დამატებით პრემიებს ღუნავს. თანაც, ეჭვი რომ არაფერში შეგვეპაროს, მეტი დამაჯერებლობისთვის სულ ქოქოლა-ნაპერწკლებსა ჰყრის ხოლმე იმ „მკვესავი“ თვალებიდან ლამაზი სათვალის მოუხსნელად...

მკითხველო, მოდი და ნუ გაიკვირვებ! ქალბატონი ირმა მინაზებული, მაპროვოცირებელი ხმით რომ თათხავს ხოლმე ტელეეკრანიდან დღევანდელ უნიათო ხელისუფალთ გაუმაძღრობისა და პრემია-დანამატების უნამუსოდ აღებისათვის (ვითომ თვითონ უცოდველი კრავი გვყავდეს), ნახეთ თურმე რა პრემიებსა და დამატებით პრემიებს ღუნავს! თანაც, ეჭვი რომ არაფერში შეგვეპაროს, მეტი დამაჯერებლობისთვის სულ ქოქოლა-ნაპერწკლებსა ჰყრის ხოლმე იმ „მკვესავი“ თვალებიდან ლამაზი სათვალის მოუხსნელად...

მე პირადად ვერ ვხვდები, რისთვის აძლევს მთავრობა საცოდავად ნაკოწიწები ჩვენი ბიუჯეტიდან (დიახ, ის ბიუჯეტი ჩვენი ყველას კუთვნილებაა) პრემიებს და დამატებით პრემიებს ნადირაშვილისნაირ პარლამენტარებს, საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად თუ იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება დღენიადაგ თათხონ და აგინონ? ალბათ, უფრო გინებისთვის, როგორც ჩანს, ქოცებს ეს სიამოვნებთ და ნაცებიც ხომ გინებისა და პროვოცირების დიდოსტატები არიან. არსებობს ეჭვი, რომ სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, ქოცებმა გინებისთვის ფულის მიცემა ნაცებისგან ისწავლეს. ამის დასტურად გამოდგება სულაც ბოლო დროს სოსო შატბერაშვილისგან „გაჟღერებული“ საიდუმლო: თურმე **მიშა ოღრაში მილიონებს აძლევდა ნათელაშვილს** (შალვაზე მოგახსენებთ), **ოღონდ კი ნაცბანდა საკადრისად ეგინებინა**. სწორედ იმ მილიონებით აიშენა სასახლე ნათელაშვილმა ბაზალეთის ტბასთან და შეიძინა შვიდოთახიანი ბინა ვენაშიო, გვარწმუნებს შატბერაშვილი. ამ უკანასკნელისგან ჯერ არ „გაჟღერებულა“, **რამდენს უხდის ივანიშვილი ნათელაშვილს იმავე საქმეში,** რასაც შალვა ბატონი სხვებისთვის მიუწვდომელი პროფესიონალიზმით ასრულებს.

ქვეყნის ცნობილი ბიზნესმენი თოფაძე, რომლის საოჯახო ქონება 600 მილიონ დოლარად არის შეფასებული, თურმე ისეთი გაჭირვებულია, რომ ღატაკი ქვეყნის ბიუჯეტიდან ოჯახის სარჩენად ყოველთვიურად 833 ლარს იღებს. ოჯახის გასაჭირზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში პარლამენტარს უფრო უარესი რამ — ნამუსის დეფიციტი ხომ არ შეეყარა?!

გასაგებია, ესენი — ნადირაშვილი, რატიანი, კანდელაკი, წიკლაური, მინაშვილი და სხვა მათნაირნი მთავრობის ლანძღვა-გინებისთვის დამსახურებულად იღებენ პრემია-დანამატებსა და ოჯახის სარჩენად გამოყოფილ დახმარებებს, მაგრამ გაუგებარია, დანარჩენებმა, ვთქვათ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დეპუტატებმა ამის უფლება რა ოფლის ფასად მოიპოვეს? აი, მაგალითად, გოგი თოფაძე, რომლისგანაც ამ მთავრობის ქების გარდა, გინება არასდროს მოგვისმენია (ზოგჯერ ამერიკასა და ნატოს თუ წაუწკიპურტებს ხოლმე), თურმე ოჯახის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად 833 ლარს იღებს!!!

„პარლამენტის აპარატის ინფორმაციით, — ვიგებთ იმავე სააგენტოს ცნობიდან, — გოგი თოფაძის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაზე 2014 წელს იდენტური ოდენობის თანხა (თვეში 833 ლარი) დაიხარჯა. რაც შეეხება 2012 წელს, ნოემბერსა და დეკემბერში პარლამენტარს 1.963 ლარი ჩაერიცხა, აქედან 1.129 — ნოემბერში. ამ ორი თვის განმავლობაში თოფაძემ პრემიაც აიღო, ჯამში 5.992 ლარის ოდენობით“.

ამის გამგონე, მოდი და ნუ გაოცდები. პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების“ თავმჯდომარე, ქვეყნის ცნობილი ბიზნესმენი თოფაძე, რომლის საოჯახო ქონება 600 მილიონ დოლარად არის შეფასებული, თურმე ისეთი გაჭირვებულია, რომ ღატაკი ქვეყნის ბიუჯეტიდან ოჯახის სარჩენად ყოველთვიურად 833 ლარს იღებს. ოჯახის გასაჭირზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში პარლამენტარს უფრო უარესი რამ — ნამუსის დეფიციტი ხომ არ შეეყარა?!

— რა გიკვირს, — მეუბნება კარის მეზობელი, პენსიონერი ჯემალ ცუცქირიძე, — იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი დამშეულია, თოფაძის (გნებავთ, სხვა პარლამენტარის) მხრიდან საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტიდან დახმარების აღება, რა თქმა უნდა, უნამუსობაა, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მეტი უნამუსოა ქვეყნის ის მთავარი „ხაზინადარი“, რომელიც ასე უპრაგონოდ არიგებს საბიუჯეტო თანხებს პრემიებად და დახმარებებად მინისტრებსა და პარლამენტარებზე. გოგი თოფაძეს რა ენაღვლება, მილიონები კი აქვს, მაგრამ ამ მუქთა ფულს ყველას აძლევენ და ეგეც უარს არ ამბობს. ხომ გაგიგია, გაძლევენ, გამოართვიო...

— საინტერესოა, — ვაჩერებ თანამოსაუბრეს, — მაგ ჩვენს მთავარ ფინანსისტს — ხადურს, ვისზეც შენ მიმანიშნებ, ამდენ ფულს რომ ფანტავს, საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად რამე თუ რჩება?

— ვერ გეტყვი, — აქნევს მელოტ თავს მეზობელი, — მაგრამ თუ ხელგაშლილი ფინანსისტი მართლა მშიერი დაგვრჩა, პირობას ვიძლევი, პენსიონერები იმ 10 ლარით დავეხმარებით, რომელიც მან წლევანდელი სექტემბრიდან მოგვიმატა. როგორც ჩანს, პარლამენტარებისთვის ოჯახის უზრუნველსაყოფად მისაცემ თანხას იმას უკავშირებენ, მათ ქუთაისში ბინის დასაქირავებლად, სამგზავროდ და საკვებად რომ ეძლევათ. ვერ გამიგია, თუ მართლა უსუსურნი არ არიან, ქოცებმა ამ სამი წლის მანძილზე რით ვერ შეძლეს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა?

— ბატონო ჯემალ, რა ქნან, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავთ, რომ ხმების უმეტესობით ეს საკითხი დადებითად გადაჭრან. ამის გარეშე კი პარლამენტის თბილისში გადმოტანა კონსტიტუციის დარღვევად ჩაეთვლებათ.

— სააკაშვილმა როცა პარლამენტი დედაქალაქიდან ქუთაისში გადაიტანა, ის არ იყო კონსტიტუციის დარღვევა და ახლა ირღვევა (რომ დასცლოდა, ერთ მშვენიერ დღეს პარლამენტი, ალბათ, ჩხოროწყუში ამოყოფდა თავს!)? იმით არ ირღვევა კონსტიტუცია, ხალხი რომ მშიერია, ქუთაისის უვარგისი საპარლამენტო ნაგებობის აპარტამენტების შენახვაში კი ყოველწლიურად ასეულობით მილიონი რომ იხარჯება? ან კიდევ „წინდების ქსოვასა“ და კანონპროექტებზე „ვეტოს“ დადებას ნუთუ ამხელა პრეზიდენტის სასახლე და მილიონების ფლანგვა სჭირდება? ამაზე ხომ უნდა იფიქრონ მთავრობამ და თავად პრეზიდენტმა?

...უნდა შევაჯამო. როგორც ნახეთ, ჩემი მეზობელი ჯემალ ცუცქირიძე მზად არის, სექტემბრიდან პენსიაზე დამატებული 10 ლარით ოჯახის რჩენაში დაეხმაროს ნოდარ ხადურს და თუ საჭირო გახდა, პარლამენტარებსაც. პატივცემულო მკითხველო, ხომ არ დაინტერესდებით ზემოთ აღწერილ ხელისუფალთა გაუმაძღრობაზე რა აზრის არიან თქვენი მეზობელი პენსიონერები და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვა წარმომადგენლები?

ოთარ ხუციშვილი

რა ფასებში ბეჭდავს განათლების სამინისტრო ქართული სკოლის სახელმძღვანელოებს

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ მოწოდებულ ამ ცნობას უკომენტაროდ ვაქვეყნებთ ...

N	წიგნის კოდი	გამომცემლობა	სახელმძღვანელოს ავტორები	საგანი	რა ფასში ბეჭდავს განათლების სამინისტრო 1ეგზ-ს	რა რაოდენობას ბეჭდავს ეგზ.	საერთო ღირებულება. ლარი	ფასი მაღაზიებში	ფასი გამომცემლობებში
1	21	საქართველოს მაცნე	ვახტანგ როდონაია და სხვ.	ქართული ენა და ლიტ. II კლასი	17 ლარი და 61 თეთრი	564	9 930	10 ლარი	8 ლარი
2	15	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	ნინო გორდელაძე და სხვ.	ქართული ენა და ლიტ. II კლასი	43 ლარი და 74 თეთრი	215	9 404	13 ლარი	9 ლარი და 75 თეთრი
3	651	არტანუჯი	მაია ლორთქიფანიძე და სხვ.	რუსული ენა ს 1	18 ლარი და 78 თეთრი	391	7 343	8 ლარი და 40 თეთრი	6 ლარი და 72 თეთრი
4	654	არტანუჯი	მაია ლორთქიფანიძე და სხვ.	რუსული ენა ს 4	15 ლარი და 27 თეთრი	388	5 924	7 ლარი და 40 თეთრი	5 ლარი და 92 თეთრი
5	656	არტანუჯი	მაია ლორთქიფანიძე და სხვ.	რუსული ენა ს 6	58 ლარი და 81 თეთრი	108	6 351	8 ლარი და 40 თეთრი	6 ლარი და 72 თეთრი
6	657	არტანუჯი	მაია ლორთქიფანიძე და სხვ.	რუსული ენა ს 7	14 ლარი და 86 თეთრი	385	5 720	7 ლარი და 40 თეთრი	5 ლარი და 92 თეთრი
7	658	არტანუჯი	მაია ლორთქიფანიძე და სხვ.	რუსული ენა ს 8	19 ლარი და 8 თეთრი	308	5 877	7 ლარი და 40 თეთრი	5 ლარი და 92 თეთრი
8	580	დიოგენე	მაია რევია და სხვ.	რუსული ენა ს 3	10 ლარი და 34 თეთრი	865	8 947	10 ლარი	8 ლარი
9	602	დიოგენე	მაია რევია და სხვ.	რუსული ენა ს 4	20 ლარი და 84 თეთრი	371	7 732	10 ლარი	8 ლარი
10	606	დიოგენე	მაია რევია და სხვ.	რუსული ენა ს 5	61 ლარი და 80 თეთრი	135	8 343	10 ლარი	8 ლარი
11	648	დიოგენე	მაია რევია და სხვ.	რუსული ენა ს 6	38 ლარი და 7 თეთრი	205	7 804	10 ლარი	8 ლარი
12	649	დიოგენე	მაია რევია და სხვ.	რუსული ენა ს 7	50 ლარი და 12 თეთრი	167	8 369	10 ლარი	8 ლარი
						4 102	91 744		

1. განათლების სამინისტრო ზემოთ ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებს ბეჭდავს 91 744 ლარად (საშუალოდ 1 ეგზემპლარის ღირებულება 22 ლარი და 36 თეთრია);
2. წიგნის მაღაზიებში იმავე სახელმძღვანელოების იმავე რაოდენობის შეძენას განათლების სამინისტრო შეძლებდა 38 056 ლარად;
3. გამომცემლობებში იმავე სახელმძღვანელოების იმავე რაოდენობის შეძენას განათლების სამინისტრო შეძლებდა 30 305 ლარად;

დასკვნა: განათლების სამინისტრომ ქვეყნის ბიუჯეტი აზარალა **61 439** ლარით.
ეს მხოლოდ 12 დასახელების სახელმძღვანელოში.

წყარო: www.procurement.gov.ge SPA 150017727

◎ ფუჭად გადაყრილი მილიონები

STEM-ი გოგონებისთვის არაა?!

მას შემდეგ, რაც კაცობრიობა ცივილიზაციის აღმართს დაადგა, მუდამ არსებობდა პროფესიები ქალებისთვის და პროფესიები — მამაკაცებისთვის. ანუ ბუნების მიერ დასაბამიდან მომადლებულ შესაძლებლობებს ქალებიც და მამაკაცებიც შესაფერისად იყენებდნენ. თუმცა, XXI საუკუნე, მოგეხსენებათ, პატრიარქატის „დაუძინებელი მტერია“, ამდენად გენდერის თემებით „მოთამაშე“ ლიბერალები მიიჩნევენ, რომ ეს არის არა ბუნებრივი ბალანსი, არამედ სტერეოტიპი, რომელიც უნდა დაირღვეს. საქართველოში ამ დიდ „პრობლემაზე“ დიდი ფული დაიხარჯება. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველო (Millennium Challenga Account _ Georgia) 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის განხორციელებისას განსაკუთრებულ ყურადღებას სოციალურ და გენდერულ ასპექტებს დაუთმობს. მათ შორის მოძებნის პასუხს კითხვაზე: რატომ არ ირჩევენ გოგონები ტექნიკურ პროფესიებს, რატომ არ ხდებიან ქალები ზეინკლები ან შემდუღებლები?

მოკლედ, სად არ შეიძლება ეძებო გრანტის მოპოვების საბაბი...

„რატომღაც დამკვიდრა სტერეოტიპი, STEM-ი გოგონებისთვის არაა!!!“ — ამბობს **მაგდა მაღრაძე,** ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ამ მიმართულებით სერიოზულ მუშაობას გეგმავს...

გოგონები ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებებს ირჩევენ, ხოლო ბიჭები — საბუნებისმეტყველო საგნებს, პროგრამირებასა და ინჟინერიას. გასული ორი წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ეროვნულ გამოცდებზე საგნების არჩევისას ფიზიკა აირჩია ბიჭების 83 პროცენტმა, ქიმია-ბიოლოგია კი — გოგონების 72 პროცენტმა. რაც შეეხება ლიტერატურას, ბიჭების მხოლოდ 13 პროცენტმა აირჩია ეს საგანი... საგულისხმოა, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში სწორედ ასეთი ტენდენციაა, მაგრამ, მგონი, საქართველოში ამ პრობლემით დაკავებული ენ-ჯე-ოები უფრო აქტიურობენ.

...თურმე რატომ არ ხდებიან ქალები ზეინკლები ან შემდუღებლები?

არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ პროფესიული არჩევანი ერთგვარად გენდერული უთანასწორობის მანიშნებელია... და თუ ვითარების გამოსწორება გვინდა, სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ. **„გენდერულ უთანასწორობას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას** — ამბობს მაგდა მაღრაძე, — **კვლევები და ემპირული მონაცემები აჩვენებს, რომ გოგონები აკადემიური წარმატებით უტოლდებიან და უსწრებენ ბიჭებს მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში, მაგრამ მათი თვითშეფასება დაბალია, ისინი კვლავ რჩებიან სტერეოტიპების ტყვეობაში და არ განაგრძობენ სწავლასა და დასაქმებას ტექნიკურ პროფესიებში“.**

გენდერის საკითხებზე „ჩასაფრებული“ გუნდი გეგმავს, რომ საკითხი განავრცოს, მიზეზებს უფრო ღრმა ფესვები უპოვოს და ოჯახში ეძებოს პრობლემა, რომელიც ქალს „აიძულებს“ — არ აირჩიოს არაქალური პროფესია. მაგრამ რაც უნდა დისკუსია-მსჯელობა გაიმართოს, ვერ დავიჯერებ, რომ თანამედროვე ახალგაზრდების დისკრიმინაცია პროფესიის არჩევის კუთხით ადვილია... ვისაც, რისი სიყვარული და მიდრეკილება აქვს, სწორედ იმ დარგს იჩევს (თუ არ ჩავთვლით სწავლის გადასახადების სიმძიმეს, რის გამოც აბიტურიენტები ხშირად არც თუ სასურველ არჩევანს აკეთებენ).

იხ. 6 გვ.

◎ არდავიწყება

აგვისტოს ომში გარდაცვლილ გმირებს პატივი მიაგეს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აგვისტოს ომში გარდაცვლილ გმირებს პატივი მიაგო.

პატრიარქი კვირას მუხათგვერდის ძმათა სასფლაოზე აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალთან იმყოფებოდა. უწმინდესმა გარდაცვლილი გმირების სულის მოსახსენიებლად სანთლები დაანთო.

„ძალიან მტკივნეულ დღეს ძმათა სასაფლაოზე მობრძანდა უწმინდესი და უნეტარესი. მან დაიტირა გარდაცვლილები და ამავე დროს გაამხნევა და ანუგეშა ჭირისუფალი. ის, რისთვისაც ამ ბიჭებმა გაიღეს სიცოცხლე, არის უმაღლესი საზომი ჩვენი ცხოვრების და ისინი მარადიულ სასუფეველში გადავიდნენ. როგორც პატრიარქი ბრძანებს, საქართველო აუცილებლად იქნება ერთიანი, მთლიანი და ძლიერი“, — განაცხადა მთავარმა სამხედრო მოძღვარმა მამა დავით ლონდარიძემ.

* * *

საქართველოში დარეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გუშინ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო გვირგვინით შეამკეს.

ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდნენ — ლათინ კათოლიკეთა, ეზიდთა სასულიერო საბჭოს, საქართველოს ებრაელთა კავშირის, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის, სახარების რწმენის ეკლესიის, მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები.

სახელმწიფო ყველაზე უნდა ზრუნავდეს და არა მხოლოდ თავის „მსახურებზე“

ლარის გაუფასურება, უმუშევრობის მაღალი დონე, ქვეყნიდან მოსახლეობის ლეგალური თუ არალეგალური მიგრაცია, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების ნაკადის საგრძნობი კლება, ფინანსურ რესურსებზე კომერციული ბანკების მიერ დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები, საბანკო მოღვაწეობაზე კონტროლის მექანიზმში მომავალი საკანონმდებლო ცვლილება და პრეზიდენტის ვეტო, მის დასაძლევად პარლამენტის მზადყოფნა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შეკვეცა და საჭიროზე დიდი ბიუროკრატიული აპარატი, ლამის შეურაცხმყოფელი სხვაობა საარსებო მინიმუმსა და პენსიას შორის და კიდევ მრავალი მსგავსი თემა ქართული მასმედიის ყოველდღიური განსჯის საგანია, თუმცა, ამის მიუხედავად, არსებით ცვლილებებამდე, რაც მოსახლეობის ყოფაზე დადებითად აისახებოდა, საქმე მაინც არა და არ მიდის.

ზემოთ ჩამოთვლილი უაღრესად მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო საკითხების თაობაზე ლაპარაკი, ცხადია, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც დღენიადაგ გვაქვს, ხშირად „განვლილის გამეორებაც“ გვიწევს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ თემას შეეხებით, რომელიც საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში, მართალია, დიდი ხანია არის, თუმცა, ბოლო დროს უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. ესაა ცოტა ხნის წინათ განხოციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრი, რომელიც, მართალია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროს უშუალოდ არ შეხებია, როგორც ამის თაობაზე არაერთგზის თქვეს უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეებმა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ერთ გარემოებაზე, რატომღაც, ნაკლებად ვამახვილებთ ყურადღებას. კერძოდ, ცნობილია, რომ ბიუჯეტები შეუმცირდა, ფაქტობრივად, ყველა სამინისტროს, მათ შორის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, მაგრამ, როგორც ითქვა, ეს არც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე, არც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე არ აისახებაო. მაშასადამე, არსებობს იმის შინაგანი რესურსი, რომლის ხარჯზე შესაძლებელია ამ ორ სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურის შეუფერხებლად მოღვაწეობა.

ჰოდა, თუ ეს ასეა, მაშ ბიუჯეტის შედგენის დროს რატომ იყო გათვალისწინებული ეს გარემოება? იგივეს თქმა შეიძლება სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო უწყებებზე, მათ შორის, ვთქვათ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე, თუმცა, ამ შემთხვევაში წინა პლანზე სხვა გარემოება გამოდის. ცხადია, როცა გარკვეული ფედერალური ინფრასტრუქტურული პროექტები „იყინება“, ეს, თავისთავად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას სპობს, შესაბამისად, მოსახლეობის იმ ნაწილის სოციალური მდგომარეობა, რომელიც მათი განხორციელებისას დასაქმდებოდა, სხვა თუ არაფერი, არანაირად არ უმჯობესდება.

რაც შეეხება მოსახლეობის სოციალურ ყოფას, ამასთან დაკავშირებით საყოველთაოდ ცნობილი ამბების მოყოლას აღარ შევუდგებით, ამიტომ მხოლოდ ერთ ციფრს მოვიყვანთ: როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებთათვის ამ სოციალური სტატუსის მინიჭების პირობები შეიცვალა, შესაბამისად, ბევრი მოქალაქე სათანადო შემწეობას ვეღარ იღებს. ამასთან დაკავშირებით, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს ისინი სოციალური დახმარების აღდგენის განცხადებით მიმართავენ და ახლახან გამოქვეყნებული მონაცემებით, შემწეობის სხვა მთხოვნელებთან ერთად, მათ რიცხვმა მილიონ კაცს საგრძნობლად გადაჭარბა! რასაკვირველია, სრულიად აშკარაა, რომ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მათ შორის უმრავლესობა, უკაცრავად გამოთქმაზე, მაგრამ „ცუღლუტობს“, მაგრამ მარტო ამ რიცხოვნობიდან გამომდინარე ხომ სავსებით ნათელია, რომ უამრავი ხალხი სიღარიბის ზღვართან უმჭიდროეს სიახლოვეში ცხოვრობს!

სოციალური უთანაბრობის კიდევ ერთი მაგალითი, რომელზეც გაუთავებლად გვიხდება ლაპარაკი, პენსიას, საარსებო მინიმუმსა და საშუალო ხელფასს შორის სრული შეუსაბამობაა. ლარის დევალვაციის შედეგად პენსია, ისევე, როგორც საშუალო ხელფასი, რეალურად, დაახლოებით 40-50 ლარით მაინც შემცირდა. ენერგიის შენახვის კანონის თანახმად კი, თუ მისი ოდენობა სადღაც იკლებს, იმავე მოცულობით მან სხვაგან, ამ შემთხვევაში საარსებო მინიმუმის დონეში უნდა მოიმატოს, და აკი მოიმატა კიდეც, ოღონდ ოფიციალური სტატისტიკა ამის თაობაზე, ჩვეულებისამებრ, არაფერს გვეუბნება.

ამის გარდა, არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საზოგადოების უდიდეს ნაწილში მუდამ გაკვირვებას იწვევს, თუმცა ამთავითვე ვიტყვით, რომ მისდამი მიდგომა, გარკვეული მიზეზით, არაერთგვაროვანია. მხედველობაში გვაქვს თავკომბალასავით გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს სიდიდისა და, რაც მთავარია, ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების აშკარად შეუსაბამოა. თანაც, ბოლო წლების ტენდენციას თუ დავაკვირდებით, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტს შესაბამისი მუხლი წლიდან წლამდე „წონადი“ ხდება. ცალკეულ სახელმწიფო სტრუქტურებზე რომელიც, როგორიცაა, ვთქვათ, ეროვნული ბანკი, ის „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ წარმოადგენს, იმდენად მაღალია მისი თანამშრომლების ანაზღაურება (იქაური 300 კაცის წლიური სახელფასო ბიუჯეტი 12 მილიონი ლარია, კაცზე, საშუალოდ, 40 ათასი ლარი!), არავინ ლაპარაკობს. ამის გამო, რომ ამ საკითხს კრიტიკულად ვუდგებით, მავანმა იქნებ გაგვაკრიტიკოს, თუმცა კი ვარწმუნებთ, რომ სხვის ჯიბეში ფულს კი, არ ვითვლით, ქვეყანაში სოციალური თანასწორობის თუნდაც ზოგადი პრინციპები მაინც რომ იყოს დაცული, ის გვინდა, მაგრამ ეს ასე რომ არ არის, ამას სულაც ციფრები მეტყველებენ: **ქვეყნის ბიუჯეტის 14 პროცენტზე მეტი (ანუ ყოველი მეშვიდე ლარი) სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება(?!), სხვა ექვსი კი — მთელი მოსახლეობის (იმავე სხვადასხვა რანგის სახელმწიფო მოხელეთა!) სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვაზე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, თავდაცვაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, უამრავ სხვა რამეზე.**

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე თანხების ოდენობა წლიდან წლამდე მატულობს: თუ შარშან ამ მიზნისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,3 მილიარდი ლარი იყო გამოყოფილი, წლეულს ეს თანხა 1,4 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. ამდენად, ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, რომ ეს ნაბიჯი ჩვენს ისედაც მწირ სახელმწიფო ბიუჯეტს უმძიმეს ტვირთად აწევს, სახელმწიფოს ამხელა ბიუროკრატიული აპარატის საკმაოდ კარგ პირობებში შენახვა, ნამდვილად ძალიან უჭირს, თუმცა კი, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ მთლიანად მოსახლეობა იმაზე გაცილებით უკეთესადაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი მატერიალურად, ვიდრე დღეს ჩვენი ჩინოსნები არიან მაგრამ არა მხოლოდ მისი ერთი, გარკვეულად პრივილირებული ნაწილი.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ბიუროკრატიული აპარატის რიცხოვნობის შემცირებასა და ანაზღაურების გარკვეულ კორექტირებას (პენსიების სააგვისტო სამარცხვინო „მატების“ ფონზეც კი!) ის უარყოფითი შედეგი ექნება, რომ საბიუჯეტო სფეროში მომუშავე 116 ათას კაცის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება (რომელიც პენსიონერებისაზე დღესდღეობით თითქმის ათჯერ მაინც უკეთესია!), თანაც მათ რიცხოვნობის შემცირება (რომელთა შორის, სრული პასუხისმგებობით ვაცხადებთ, უამრავი უაღრესად არაკომპეტენტური, თანაც არც რაიმე სასიკეთოს გაკეთების მსურველია), ქვეყანა უმუშევართა არმიას კიდევ უფრო გაზრდის.

აქვე აუცილებლად უნდა თქვას კიდევ ერთი რამ: ბევრი ახლანდელი მაღალჩინოსანი, კერძოდ კი ის ადამიანები, ვისაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე დღენიადაგ ზრუნვა ევალება, სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც თავი რომ დავანებოთ, ამას თუნდაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამო უნდა აკეთებდეს, გასულ წლებში წინა და კიდევ იმის წინა ხელისუფლების კრიტიკაში იყვნენ — ხალხი რა დღეში გყავთო, ახლა კი, როცა გარკვეულ „კასტურ ინტერესთა“ სადარაჯოზე ყოფნისთვის საყვედურობენ, ხელებს შლიან — სახელმწიფოს მოსახლეობისთვის მეტის გაკეთება არ შეუძლიაო.

ჰოდა, ვართ ახლა, პენსიონერებთან ერთად, პაპანაქება სიცხეში „ხადურის ათლარიანი“ „ფეშქეშის“ მოლოდინში, რომელიც თითქმის ერთი წლის წინათ უკვე ძვლიანად დახრა „ქადაგიძის სახელობის ინფლაციამ“.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ფუჭად გადაყრილი მილიონები

STEM-ი გოგონებისთვის არაა?!

(მეხუთე გვერდიდან)

ასეა თუ ისე, სტერეოტიპული პროფესიები არსებობს. მაგალითად, სკოლაში თითქმის უმეტესობა პედაგოგებისა ქალია, უნივერსიტეტებში მეტ-ნაკლებად ბალანსი არის დაცული, მაგრამ თუ გადავხედავთ რექტორის ან პრორექტორის თანამდებობას, აქ უმეტესად მამაკაცები სჭარბობენ. მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში კი სულ თითზე ჩამოსათვლელია ქალი აკადემიკოსი. რაც შეეხება ე.წ . STEM-ს ანუ საბუნებისმეტყველო, ინჟინერია, მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიებს, ამ სფეროშიც ძალიან ცოტა ქალია დასაქმებული, რასაც სტიგმას უკავშირებენ... ჩემი აზრით, ქალი ამ დარგებიდან მიზანმიმართულად არ არის ჩამოშორებული. ალბათ, ჰორმონებშია პრობლემა, რომელიც ქვეშეცნეულად უბიძგებს ქალს ქალური პროფესიისკენ. რა თქმა უნდა, გამონაკლისი ყოველთვის არის და იქნება კიდეც. ზოგადად თუ მივუდგებით საკითხს, ნამდვილად არ არსებობს განსხვავება ქალისა და მამაკაცის პროფესიებს შორის! ამდენად, ამ თემის კირკიტი, ალბათ, თითიდან გამოწოვილი თემა უფროა, ვიდრე პრობლემა.

მილიონიანი პროექტი გულისხმობს, გენდერული სტერეოტიპების დისკრიმინაციული მიდგომის შეცვლას და ამიტომაც STEM-ის წარმომადგენელ პედაგოგებს გადაამზადებენ. მნიშვნელოვანია მასწავლებლების დახელოვნება, მომზადება იმისა, თუ როგორ ცდილობენ ისინი გენდერული პროფესიების დანერგვას, — აღნიშნავს მაგდა მაღრაძე.

გენდერული თანასწორობა ასახულია მასწავლებლის ქცევის კოდექსში, თუმცა სახელმძღვანელოები, პირიქით, გენდერულ სოციალიზაციას აკეთებენ, — მიაჩნიათ თავად პედაგოგებს. ფარულად ყველა საგანში არის სტერეოტიპები ჩადებული. მაგალითად, დაწყებითი კლასის მათემატიკურ ამოცანებს თუ გადავხედავთ, რიცხობრივად ბიჭები და გოგონები თანაბრად არიან მოხსენიებულნი, მაგრამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, გოგონებს ან არასოდეს არა აქვთ საკმარისი თანხა, ან საერთოდ არა აქვთ ფული. დედა მხოლოდ ტორტს აცხობს, ან სადილს ამზადებს, მამა კი მოგზაურობს. აღმოჩნდა, რომ მათემატიკის მასწავლებლებიც კი დაფასთან უფრო ხშირად ბიჭებს იძახებენ, ვიდრე გოგონებს... სხვათა შორის, თუ კვლევებს დავუჯერებთ, ბიჭები ლიტერატურისკენ მიდრეკილები არ არიან. მაგრამ, რა ვუყოთ, რეალობას, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს: პოეტები, მწერლები, რომანისტები ძირითადად სწორედ მამაკაცები არიან... ქალები ამ სფეროში ნაკლებად ფიგურირებენ...

რაში იხარჯება მილიონები? — სკეპტიციზმი, მართლაც რომ, დიდია... როცა საზოგადოებაში უამრავი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა არსებობს. თუნდაც, დასაქმება. რა მნიშვნელობა აქვს, რა პროფესიას აირჩევ, თუ საკუთარი უნარების რეალიზაციას ვერ შეძლებ?! არადა, საქართველო ხომ ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო ქვეყანაა. პედაგოგები ვაჭრობენ, ექიმები ბიზნესმენობენ, დიპლომიანი მუშაც ბევრია...

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი **ხათუნა ცხადაძე** უფრო კომპლექსურად და შეიძლება ითქვას, მტკივნეულად უდგება ამ საკითხს: **„ჩვენთან პროფესიას ინერციით ირჩევენ. არა გვაქვს ჩატარებული კვლევა, სად, რა პროფესიებზე არის მოთხოვნა შრომით ბაზარზე. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, სად შეიძლება დასაქმდეს“...**

ალბათ, ასე საკითხის დასმა უფრო პრობლემურია, ვიდრე პროფესიული დისბალანსის გენდერული პრობლემისთვის გადაბრალება...

თეა მოსია

რას ერიდები, ექიმო?

საგულისხმო დაკვირვების შესახებ განაცხადეს კანადელმა ფსიქოლოგებმა. მათი მტკიცებით, ყველაზე ცრუმორწმუნეები... ექიმები ყოფილან – ამდენი ნიშანი კოსმონავტებსაც არ ჰქონიათ! საინტერესო კიდევ ის არის, რომ ამ დროს მათ განხრას მნიშვნელობა არა აქვს – ცრუმორწმუნეობის ნიშნები ერთიანია ქირურგებისთვისაც, ოფტალმოლოგებისთვისაც, კარდიოლოგებისთვისაც და სხვათათვისაც.

ერიდეთ ჟღალთმიანებს

თურმე ექიმები ჟღალად შეღებილ პაციენტებსაც კი ერიდებიან. **ერთმა ქირურგმა ასეთი ამბავი გაიხსენა:** მისმა პაციენტმა ქალბატონმა ოპერაცია ძლივს გადაიტანა, შემდეგ კი დიდხანს იწვალა გართულებების გამო. ჩვეულებრივ მსგავს შემთხვევებში, თერაპიულ მკურნალობას კარგი ეფექტი მოყვება, მაგრამ მას არაფერი შველოდა. ჰოდა, ერთხელაც გაირკვა, რომ წლების წინ ამ ჟღალთმიანმა ქალბატონმა თმა შავად შეიღება. ასეთ დროს ექიმთა შიშს მეტად მარტივი ახსნა აქვს: ჟღალთმიანებს ტკივილის ზღვარი გაცილებით მაღალი აქვთ, ამდენად მათ მეტი დოზით ტკივილგამაყუჩებლები სჭირდებათ, თანაც ისინი ზედმეტად მგრძნობიარენი არიან და მეტ ყურადღებას საჭიროებენ.

ოპერაციებისთვის „თარსი“ დღეები

ორშაბათობით, პარასკევობით ქირურგები ოპერაციების დანიშვნას ერიდებიან. საქმე ისაა, რომ ორშაბათი კვირის დასაწყისია, პარასკევი – დასასრული და თუ ოპერაციის დროს რაღაც ისე არ წავიდა, ექიმს არც მშვიდი მუშაობის, არც მშვიდად დასვენების განწყობა არ ექნება.

ნუ გაცვლით მორიგეობას

ექიმები მორიგეობების გაცვლასაც ერიდებიან, იმიტომ რომ სწამთ, რომ შემცვლელ ექიმს სულის მოსათქმელად წუთიც არ ექნება. ამავე მიზეზით მიმღებ განყოფილებაში შუქის ზედმეტად ჩართვას ერიდებიან (ის „სასწრაფოს“ „იზიდავს“(!) და არც შემოსულ ავადმყოფთა რეგისტრაციის ჟურნალს ტოვებენ გადაშლილს. თანაც მისაღებში ცოცხი გადმოტრიალებულად აქვთ მიყუდებული – ითვლება, რომ ამ მდგომარეობაში ის მძიმე სნეულებებს „აფრთხობს“.

არც ხელსაწყო უნდა დაგივარდეთ, არც ავადმყოფობის ისტორია

– ავადმყოფს ეს კარგს არაფერს უქადის – ან გართულება ექნება, ან რეციდივი. ოპერაციის დროს დავარდნილ ქირურგიულ ხელსაწყოს მის დამთავრებამდე იატაკიდან არ იღებენ. მეტიც: მას, რაც შეიძლება, მეტად „წიხლავენ“.

ერიდეთ მადლიერების გამოვლენას

მადლიერების სიტყვებს – „ექიმო, თქვენ მე გადამარჩინეთ! აღარაფერი მაწუხებს, თავს კარგად ვგრძნობ!“ ექიმები ტყვიასავით ერიდებიან. „თუკი მადლიერების გამოხატვა გინდათ, უბრალოდ მადლობა გვითხარით“, – ამბობენ ისინი. ექიმები ასევე ერიდებიან კეთილი დღისა და მშვიდობიანი მორიგეობის სურვილის გამოთქმას, ასევე„ საღამო მშვიდობისას“ თქმას, მათი დაკვირვებით, ამ სიტყვების შემდეგ, არც დღე და საღამო, არც მორიგეობა მშვიდი არ იქნება.

თავის გართობას ნუ ეცდებით

მორიგეობისას დროის მოსაკლავად ექიმებს არც წიგნი, არც ბანქო, არც რამე სხვა გულის გადასაყოლებელი არ მიაქვთ, რადგან იციან, რომ საამისოდ წუთი თავისუფალი დრო არ ექნებათ. და პირიქით – თუკი ასე არ მოიქცევიან, არც ბევრი საქმე ექნებათ, მორიგეობა კი „საუკუნეს გაგრძელდება“.

რძე და ადამიანი

ძუძუმწოვართა მდედრების სარძევე ჯირკვლების გამომუშავებულ სასარგებლო სითხეს რძე ეწოდება. მისი ბუნებრივი დანიშნულებაა ნაშიერის გამოკვება, რომელსაც სხვა საკვების მონელება ჯერ არ შეუძლია; ჩვენს ერამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე, მას შემდეგ, რაც თხა მოაშინაურა, ადამიანმა რძის სმა დაიწყო; 2009 წელს მსოფლიოში ძროხის რძის სასაქონლო წარმოებამ 707-ს მილიონი ტონა შეადგინა. ამ ცხოველის რძეს ყველაზე ხშირად მოიხმარენ; მე-18 საუკუნის დამდეგს, რძე ადამიანთა ტუბერკულოზით დაავადების წყარო იყო. ეპიდემიის შეჩერება მხოლოდ პასტერიზაციის გამოგონების შემდეგ გახდა შესაძლებელი; ძროხის რძის ერთი ჭიქა იმდენივე კალციუმს შეიცავს, რამდენსაც 7 სარდინა, 3-3 ჭიქა ბროკოლი და მიწის თხილი – არაქისი, ან შავი ლობიო; ერთი კილოგრამი ნაღების რძის მისაღებად 21 ლიტრი რძე იხარჯება, ერთი კილოგრამი ყველის დასამზადებლად კი საჭიროა 10 ლიტრი რძე; ძროხის რძის ცილების ტოქსინებს ქიმიური ბმის თვისება აქვთ, ამიტომაცაა რომ მავნე წარმოებებში მომუშავე ხალხი რძეს უფასოდ ღებულობს; ძროხის რძის გარდა ადამიანები სვამენ თხის, ცხენის, აქლემის, ცხვრის, ირმებისა და ხარირმების რძეს; თხის რძე ძროხისაზე უფრო ცხიმიანია, იგი უფრო მეტ ცილას, ცხიმსა და კალციუმს შეიცავს. თხის რძის ცხიმიანობა 3,6-დან 6 პროცენტამდეა; ცხენის რძე ძროხისაზე ორჯერ ნაკლებ ცილებსა და მინერალურ ნივთიერებებს, თუმცა კი 1,5-ჯერ უფრო მეტ ლაქტოზას შეიცავს. ცხენის რძის ცილებსა და ცხიმებს ორგანიზმი კარგად ითვისებს; აქლემის რძე ძროხისაზე სამჯერ მეტ C და D ვიტამინებს შეიცავს და ალერგიას არ იწვევს; ზოგიერთი ადამიანი დაბადებიდან ვერ იტანს რძის შაქარს (ლაქტოზას), ბევრნი კი ამ თვისებას ასაკის მატებასთან ერთად იძენენ და შემდეგ რძეს ვეღარ სვამენ; ჩრდილოეთის ირმის რძის ცხიმიანობა 19,1 პროცენტია და მას სამკურნალო კვებაში იყენებენ; ორგანიზმი რძეს ცუდად ითვისებს კვერცხთან, თევზთან და ხორცთან ერთად.

ჯანსაღი სიბერისთვის

მოწიფულ ასაკში ფიზიკური ვარჯიში შვიდჯერ ზრდის სიბერეში ჯანმრთელობისა და საღი გონების შენარჩუნების ალბათობას, აღნიშნულია სპორტული მედიცინის საკითხებისადმი მიძღვნილ ჟურნალში.

ოთხი წლის მანძილზე ფიზიკური ვარჯიში მნიშვნელოვნად ამცირებს დიაბეტის განვითარების, სისხლძარღვთა დაავადების, ალცჰეიმერის ავადმყოფობისა და ინსულტის საფრთხეს, აღნიშნავენ ბრიტანელი მეცნიერები.

სწავლული მედიკოსები რვა წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 3,5 ათასი კაცის ჯანმრთელობას, რომელთა საშუალო ასაკი, გამოკვლევის დაწყების მომენტისთვის, 64 წელი იყო. ცნებაში „ჯანმრთელი სიბერე“ მეცნიერები გულისხმობენ არა მარტო ქრონიკულ დაავადებათა და ინვალიდობის უქონლობას, არამედ ნათელი გონებისა და სოციალური აქტივობის შენარჩუნების უნარს.

გამოკვლევის მონაწილენი თავიანთი ფიზიკური აქტივობის შესახებ მედიკოსებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უამბობდნენ.

საშუალო აქტივობის ხარისხი დაკვირვების ქვეშ მყოფს მაშინ ენიჭებოდა, თუკი კაცი კვირაში ერთხელ მაინც ვარჯიშობდა, მაღალი აქტივობის ხარისხი კი იმ შემთხვევაში, თუ იგი კვირაში უფრო მეტჯერ ასრულებდა ფიზიკურ ვარჯიშებს. ექიმებმა ასევე დაადგინეს, რომ სახლში მუშაობა ხანდაზმულ ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

ექსპერიმენტის დასრულების დროისათვის, ათი მონაწილიდან ოთხს ქრონიკული დაავადება აღენიშნებოდა, ყოველი მეხუთე დეპრესიას უჩიოდა, მესამედს სხვადასხვა ხარისხის ინვალიდობა ჰქონდა, ხუთიდან ერთს კი მენტალური დარღვევა აღენიშნებოდა.

ამავე დროს, ყოველი მეხუთე ჯანმრთელი იყო, და, თითოეულ ამ შემთხვევაში, ფიზიკური დატვირთვის მოცულობასა და ჯანსაღ სიბერესთან პირდაპირი კავშირი აღინიშნებოდა.

„ელექტრონული“ საფრთხე

ბოლო დროს, თამბაქოს მოწევასთან ბრძოლის ფარგლებში, სულ უფრო მეტად ვრცელდება ეგრეთ წოდებული „ელექტრონული სიგარეტები“, რომლებიც, მათ შემქმნელთა აზრით, მწეველებს მავნე ჩვევისთვის თავის დანებებაში უნდა დაეხმარონ.

თუმცა ახლა ამ ელექტრონულ სიგარეტებსაც გამოუჩნდათ მოწინააღმდეგეები: ექიმები მათი შენობებში მოხმარების აკრძალვას აპირებენ. აქამდე მიჩნეული იყო, რომ ელექტრონული სიგარეტები არანაირად არ მოქმედებენ მათ მწეველთა გარშემო მყოფ ადამიანებზე. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ელექტრონული სიგარეტები გარემოში მავნე ანაორთქლებს გამოყოფენ, რაც მწეველის გარშემო მყოფთათვის საფრთხეს წარმოადგენს.

მეტი თავისუფლება ბავშვებს!

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გააანალიზეს 400-ზე მეტი ოჯახის მონაცემები და გაირკვა, რომ ის ბავშვები, რომლებიც მშობელთა მოუდუნებელი ყურადღების ქვეშ იმყოფებიან, საკუთარ თავს, თანატოლებთან შედარებით, დაბალ თვითშეფასებას აძლევენ და მათზე მეტად არიან მიდრეკილნი რისკიანი ყოფაქცევისადმი.

როცა მშობლები ბავშვის მაგივრად ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებენ, ეს მათზე ძალიან ცუდად აისახება. ასეთი მოზარდები სწავლას უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, უფრო გვიან ქორწინდებიან. ამიტომაც საჭიროა ბავშვებისთვის დროდადრო შეცდომების დაშვების უფლების მიცემა და შემდგომ მათზე შეგნებულად პასუხისმგებლობის ტვირთის ზიდვა.

რაც უფრო მეტი ასაკისაა ბავშვი, მით უფრო მეტი თავისუფლების მიცემაა მისთვის საჭირო, მაგრამ ეს მეთოდი ყოველდღიური უნდა იყოს, მაშინ იგი საკუთარი ფასეულობებს შეიძენს და ცხოვრების მეტი გაგება ექნება.

უძველესი რეცეპტი

მე-9 საუკუნის სამედიცინო „ბალდის სამკურნალო წიგნში“ მოყვანილი რეცეპტით დამზადებული თვალის მალამო, ეფექტიანად ანადგურებს ოქროსფერი სტაფილოკოკის შტამებს, რომლებიც გამძლენი არიან ანტიბიოტიკების ზემოქმედებისადმი.

მალამოს დასამზადებლად საჭიროა ხახვი, ნიორი, ღვინო და ხარის ნაღველი. მეცნიერებმა თვალის მალამოს ტესტირება სხვადასხვა ბაქტერიულ შტამზე ჩაატარეს. პრეპარატმა ანტიბიოტოქსიკური ბაქტერიების 90 პროცენტი მოსპო, თანაც ასეთი ეფექტი მალამოში მხოლოდ ყველა ინგრედიენტის არსებობის დროს მიიღწევა. ცალკე აღებულებს მათ სუსტად გამოხატული ანტიბაქტერიული მოქმედება აქვთ.

დედამიწის ზურგზე

აშშ-ის ქალაქ ფერგიუსონში დაღუპული მოზარდის მოსახსენიებელ „მშვიდ“ აქციას სროლა მოყვა

კვირას, 9 აგვისტოს იქ ერთი წლის წინათ პოლიციელების მიერ მოკლული შავკანიანი მოზარდის მაიკლ ბრაუნის ხსოვნისადმი მიძღვნილი აქცია გაიმართა. შუაღამისას კი სროლა ატყდა, დაჭრილია ერთი კაცი.

სამხრეთ კორეამ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი ორი სამხედრო მოსამსახურის აფეთქებაში დაადანაშაულა და შურისძიებით დაემუქრა

„ჩვენი სამხედროები მწარედ აზღვევინებენ ჩრდილოეთ კორეას პროვოკაციული მოქმედებების გამო“, – განაცხადა ორშაბათს სეულში ეროვნული თავდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე სამხრეთ კორეის შტაბების კომიტეტის წევრმა გენერალ-მაიორმა კუ ხონ მომ. მან ფხენიანს მოუწოდა, ინციდენტის გამო ბოდიში მოიხადოს და დამნაშავეები დასაჯოს.

ნორვეგიაში მხედველობადაქვეითებული ქალი „მაკდონალდსიდან“ გააძევეს იმის გამო, რომ მას გამყოლი ძაღლი ახლდა

ინციდენტი ქალაქ ფრედრიკსტადში მოხდა, სადაც სწრაფი კვების რესტორნიდან ქალი და მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი იმის გამო გააძევეს, რომ გამყოლი ძაღლი ახლდათ, რის გაკეთების უფლება, მოქმედი კანონმდებლობით, არ ჰქონდათ. დამნაშავეები დაჯარიმდებიან.

აფეთქება პოლიციის განყოფილებაში და თავდასხმა სტამბოლში აშშ-ის საკონსულოზე

ტერაქტის დროს დამნაშავეებმა დანაღმული ავტომანქანა გამოიყენეს. შედეგად სულთანბეილის რაიონში დაინგრა პოლიციის განყოფილების სამსართულიანი შენობის ნაწილი, რის შედეგად იქ ხანძარი გაჩნდა. გარდა იმისა, ორმა უცნობმა აშშ-ის საკონსულოს ცეცხლი გაუხსნა.

ჩერნობილთან ხანძრის ახალი კერა აღმოაჩინეს

წინასწარი მონაცემებით, არავინ დაზარალებულა. როსპოტრებნადზორის განცხადებით, რადიაციული ფონი რუსეთში ნორმის ფარგლებშია. რადიაციული ფონის მატების შესახებ იფორმაცია არც უკრაინის მხარეს განუცხადებია.

სტას პიეხა, ისევე, როგორც მანამდე ტიმატი ოდესაში კონცერტის გასამართად არ შეუშვეს

მომღერლის წარმომადგენლის განცხადებით, კონცერტის გაუქმების შესახებ მათ წინა ღამეს შეიტყეს. „დამკვეთმა დამირეკა და მითხრა, რომ ოდესაში ჩასვლისთანავე უკანვე გამოგვაბრუნებენ. სხვა არაფერი ვიცი“, – განაცხადა ალექსანდრე კაჩანმა.

ჩვენი უკუღმართი თანამედროვეობა, რასაც სათავე ხიროსიმასა და ნაგასაკში დაედო

1945 წლის 6 აგვისტოს, ხიროსიმას და 9 აგვისტოს, ნაგასაკის ატომური დაბომბვის შემდეგ მსოფლიოს ახალი სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია მოევლინა. იაპონიის ქალაქების ბირთვული დაბომბვა, ერთი შეხედვით, იყო პასუხი მილიტარისტული იაპონიის — ფაშისტური გერმანიის მოკავშირის წინააღმდეგ, მეორე მსოფლიო ომში ჩადენილ საშინელებებზე; ქმედება, იაპონიის სამხედრო მანქანის კაპიტულაციისთვის; იძულება, აშშ-ის მიერ წაყენებულ ულტიმატუმზე უსიტყვო თანხმობისთვის. მეორე მხრივ, ეს იყო საბჭოთა კავშირის კატეგორიული, უსიტყვო გაფრთხილება, არ გადაედგა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამხედრო ნაბიჯები.

გერმანიის ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, იაპონიის მილიტარიზმი ისედაც კარგავდა პოზიციებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რაშიც უდიდესი წვლილი შეჰქონდა საბჭოეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილებას იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართვის თაობაზე. საბჭოეთის მეთაურმა სტალინმა პირნათლად შეასრულა მოკავშირეთა მიმართ დაპირება იაპონიის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ. ეს მას აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა იალტის კონფერენციის დროს სთხოვა. იაპონიასთან ომში ჩართვის საფასურად, სტალინმა მიიღო რუზველტის თანხმობა კურილის კუნძულების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

იალტის სულისკვეთების პოზიტიურ ჩარჩოში გაგრძელებას ხელი შეუშალა დიდ ბრიტანეთში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ჩერჩილის დამარცხებამ და, რაც მთავარია, პრეზიდენტ რუზველტის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. პოტსდამის კონფერენციაზე, იალტის დამახასიათებელი პოლიტიკური „სითბო“ ნაკლებად შეინიშნებოდა. ახალი პარტნიორები, ამერიკის პრეზიდენტის ტრუმენისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ეტლის სახით, სხვაგვარად უდგებოდნენ იალტის შეთანხმებებს.

პოტსდამის კონფერენციის დასაწყისში ჩერჩილი მონაწილეობდა, თუმცა, მალე მან დატოვა კონფერენცია და ის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ ჩაანაცვლა.

ბირთვული ბომბის არსებობა დიდ მხნეობას მატებდა ტრუმენს. როგორც პრეზიდენტი, ისე მისი ადმინისტრაცია დღე-დღეზე ელოდნენ პირველი ატომური ბომბის გამოცდის შედეგებს. აშშ-ის სამხედრო მინისტრი სტიმსონი თავის მოგონებებში წერს, რომ ვაშინგტონი მაქსიმალურად ცდილობდა პოტსდამში ომისშემდგომი ევროპის საკითხების გადაჭრის გაჭიანურებას, ვიდრე არ გამოცდიდნენ ბირთვულ ბომბს. ახალ, მასობრივი განადგურების იარაღს, როგორც ტუზის კოზირს ისე უნდა ემოქმედა პოტსდამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

მიიღო რა შეტყობინება ბომბის გამოცდის თაობაზე (1945 წლის 16 ივლისს) — პოტსდამის კონფერენციის გახსნამდე ერთი დღით ადრე, ტრუმენმა გაამკაცრა პოზიცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში. მან ისიც თქვა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ ასრულებს იმ მოვალეობებს, რაც მან ყირიმში აიღო, რაზეც საბჭოთა ლიდერის შესაბამისი პასუხი მიიღო.

24 ივლისს, მორიგი სხდომის დამთავრების შემდეგ, როდესაც სტალინი გასასვლელისკენ გაემართა, მას ტრუმენი წამოეწია შემდეგი სიტყვებით: **„მინდა გითხრათ კონფიდენციალური შეტყობინების თაობაზე“** — სტალინი შეჩერდა. ტრუმენმა განაგრძო: **„აშშ-მა შექმნა ახალი იარაღი, რომელსაც ძლიერი დამანგრეველი ძალა აქვს და რომლის გამოყენებასაც იაპონიის წინააღმდეგ ვაპირებთ“.**

ეს ინფორმაცია სტალინმა უემოციოდ მიიღო, რამაც გული დაწყვიტა ტრუმენს. ჩერჩილმა, რომელიც სულმოუთქმელად ელოდა სტალინის რეაქციას, უმალ ჰკითხა ტრუმენს სტალინის პასუხის შესახებ. **„სტალინს ჩემთვის არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამს ამ ფაქტის დასაზუსტებლად, უბრალოდ, მადლობა გადამიხადა ინფორმაციისთვის“,** — მიუგო ტრუმენმა.

ყოველივე აღნიშნულს ზედმიწევნით ზუსტად ასახავს თავის მოგონებებში პოტსდამის კონფერენციის მონაწილე ანდრეა გრომიკო, შემდგომში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ტრუმენ-სტალინის ხანმოკლე დიალოგი სხვაგვარად აისახა ტრუმენის მოგონებებში, სადაც ის წერს, რომ მისი ნათქვამი ვერ გაითავისა სტალინმა, ვინაიდან არ ჰქონდა წარმოდგენა ახალ იარაღზე.

როგორც გრომიკო აღნიშნავს, ტრუმენთან გასაუბრების შემდეგ, თავის რეზიდენციაში დაბრუნებულმა სტალინმა უმალ მოითხოვა ცნობილ მეცნიერ კურჩატოვთან სატელეფონო კავშირი. საუბარი შეეხო საბჭოური ატომური ბომბის დამზადების დაჩქარებას. ასე რომ, სტალინმა კარგად იცოდა ბირთვული ბომბის შესახებ. სწორედ მისი დავალებით საბჭოთა ბირთვული იარაღის შექმნას ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა.

ბირთვულიარაღიანმა აშშ-მა მიზანშეუწონლად ჩათვალა იაპონური „ტორტის“ ჭამაში საბჭოეთის გაყვანა, პირიქით, სწორედ მის დასაშინებლად გამოსცადა ხიროსიმასა და ნაგასაკზე მომაკვდინებელი ატომის ძალა. ეს ექსპერიმენტი 70 წლის წინათ განხორციელდა. წელს, 7 აგვისტოს კაცობრიობამ ფართოდ აღნიშნა საზარელი ტრაგედია. აფეთქებისთანავე 75000 ადამიანი დაიხოცა. მომდევნო დღეებში, რადიაციით — 300000.

დღემდე არავის შეუფასებია ამერიკელთა მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაული. თვით აშშ-ს ბოდიში არ მოუხდია იაპონელი ხალხის წინაშე. გარდა წლევანდელი ღონისძიებისა, არც ერთ სამგლოვიარო დღეს, აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა ღონისძიებაში.

ბომბები, რომლებიც ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოიყარა, მოსკოვის, ლენინგრადის, სხვა საბჭოთა ქალაქებისთვის იყო გამიზნული, არ მოხერხდა. მსოფლიოში საბჭოთა ავტორიტეტმა, წითელი არმიის მიერ ფაშიზმის დამარცხებამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა შეაკავა ტრუმენი და მისი ადმინისტრაცია ბირთვული ბომბების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში, რაც საკმარისი გამოდგა საბჭოური ატომური ბომბის დასამზადებლად. გაჩნდა მეორე ბირთვული სახელმწიფო, რამაც გადაარჩინა სამყარო მესამე მსოფლიო ომისგან. ეს ბალანსი დღესაც გრძელდება და, უნდა ვიმედოვნოთ, მომავალშიც გაგრძელდება.

ხიროსიმა-ნაგასაკიდან გამომდინარე, საქართველოსთვის კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას. ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, სტალინმა ნეგატიურად შეაფასა ყარსის ხელშეკრულება და აღნიშნა, რომ ამით დაზარალდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები. ხელშეკრულების კორექტირების მიზნით, მოლოტოვს შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა კავშირში თურქეთის ელჩთან.

საბჭოთა ხელმძღვანელობა, პირადად სტალინი თვლიდა, რომ დაკარგული ტერიტორიები საქართველო-სომხეთს უნდა დაბრუნებოდა.

დღეს არაერთ ქვეყანას აქვს ბირთვული იარაღი, მაგრამ ათასობით — მხოლოდ აშშ-ს და რუსეთს. რუსეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია აშშ-ს გასცეს მომაკვდინებელი პასუხი, რამეთუ მას არა მარტო ბირთვული ქობინები აქვს, არამედ მათი ადრესატამდე მიტანის საშუალებებიც — ხმელეთიდან, ჰაერიდან, წყლიდან.

1945 წლის 6, 9 აგვისტოს ხიროსიმასა და ნაგასაკს არავითარი კავშირი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მრავალი ათეული წლის შემდეგ განვითარებულ ცხინვალის მოვლენებთან —ლოკალურ, პატარა კონფლიქტთან, თუმცა, ერთი შეხედვით. ვგონებ, პოტსდამის კონფერენციაზე ურუზველტობამ მძიმე დაღი დაასვა არა მარტო კონფერენციას, არამედ ომის შემდგომ ევროპასა და მსოფლიოს.

სახელმწიფო მოღვაწეები ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათაც აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობაში პატივისცემისა და თანამშრომლობის გამოხატვის სურვილი, რაც კარგად გამოჩნდა თეირანისა და იალტის კონფერენციებზე. **„მე შემექმნა მოსაზრება, რომ რუზველტი დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული საბჭოთა კავშირისა და პირადად სტალინის მიმართ. ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის საიდუმლო სამსახური, ალენ დალესის მეთაურობით, შვეიცარიაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს რეიხის ზოგიერთ წარმომადგენელთან - გენერალ ვოლფთან. გაიგო რა ამის შესახებ სტალინმა, რუზველტს სასაყვედურო წერილი გაუგზავნა. პასუხად, 1945 წლის 12 აპრილს რუზველტმა შეატყობინა, რომ აშშ-ს მყარად აქვს გადაწყვეტილი, განამტკიცოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ეს იყო ბოლო წერილი, რომელსაც ხელი მოაწერა რუზველტმა. იმ საღამოს ის გარდაიცვალა“,** — წერს ა.გრომიკო.

რუზველტის გარდაცვალებით ისტორიას ჩაბარდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების მჭიდრო, პრაგმატული თანამშრომლობის ერთი ფურცელი. დაიწყო ახალი ერა — მეტადრე მეტოქეობისა, ვიდრე თანამშრომლობისა და მეგობრობისა. და ასე გრძელდება ხალხზე ბირთვული ბომბების პირველი (ჯერჯერობით) გამოცდის დღიდან, დღემდე.

კონფრონტაციულმა ურთიერთობებმა, ერთმანეთზე უპირატესობის მოპოვების მცდელობამ, ერთმანეთთან იარაღით მიახლოების სურვილმა, გამოცდის ახალ-ახალი საბრძოლო იარაღის შექმნა-წარმოებამ და მათი სხვაზე (და არა ერთმანეთზე) გამოცდის სურვილმა მსოფლიოს არაერთი განსაცდელი არგუნა — ავღანეთის, ერაყის, მანამდე კორეის, ვიეტნამის სახით. დავუმატოთ ამას უკრაინა და 2008 წლის საქართველო. მათზე ადრე იუგოსლავია და ა.შ. ყველგან იგრძნობოდა და იგრძნობა ენით აუწერელი ჭიდილი, მცდელობა დიდი ქვეყნისა, არ დაეშვა მეტოქის წინ წამოწევა, მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება. ამ უსასრულო ბრძოლაში უხვად გამოიყენება ე.წ. მეგობარი ქვეყნები და სტრატეგიული პარტნიორობა, თუნდაც ისეთი, ჩვენ რომ გვგონია გვაქვს აშშ-თან.

შეიძლებოდა თუ არა 2008 წლის აგვისტოსთვის თავის არიდება? უდავოდ შეიძლებოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ლიდერი დალაგებული აზროვნების ადამიანი იქნებოდა. ბედმა დაულაგებელი, ავანტიურისტული ბუნების ადამიანი არგუნა საქართველოს, მისი ახალი ისტორიის საპასუხისმგებლო მონაკვეთზე. შედეგად, საქართველომ წააგო. ცხინვალი რომ მოგვეგო, შევინარჩუნებდით მას?

უფრო შორს წავიდეთ, რუსეთის იმპერიის წყალობით საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებულ აჭარას, საბჭოთა კავშირის გარეშე შევინარჩუნებდით? პატარა და სუსტი ქვეყნისთვის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება დიდ ნიჭსა და ჭკუას უკავშირდება, ნაკლებად — გადამთიელის მოიმედეობას, მასთან ერთად საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას.

ხიროსიმა-ნაგასაკიდან გამომდინარე, საქართველოსთვის კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას. ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, სტალინმა ნეგატიურად შეაფასა ყარსის ხელშეკრულება და აღნიშნა, რომ ამით დაზარალდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები. ხელშეკრულების კორექტირების მიზნით, მოლოტოვს შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა კავშირში თურქეთის ელჩთან.

საბჭოთა ხელმძღვანელობა, პირადად სტალინი თვლიდა, რომ დაკარგული ტერიტორიები საქართველო-სომხეთს უნდა დაბრუნებოდა. მისი გათვლით, საქართველოს უნდა შემოერთებოდა ტრაპიზონიდან მოყოლებული მთელი რიგი ტერიტორიები. ეს თემა სხვაგვარად გაჟღერდებოდა პოტსდამის კონფერენციაზე. მაგრამ ატომური ბომბის გამოცდამ წერტილი დაუსვა ამ ამბავს. არადა?... არადა, რომ მომხდარიყო, შეძლებდა დამოუკიდებელი საქართველო მის შენარჩუნებას?

1939 წლის ნოემბერში კოლონტაის, საბჭოეთის ელჩს შვედეთში, შეხვედრა ჰქონდა სტალინთან. საუბრის დროს სტალინმა იწინასწარმეტყველა საბჭოეთის მომავალი. მან აღნიშნა, რომ მსოფლიო სიონიზმი მთელი ძალით შეეცდება საბჭოეთის დანგრევას, ისე რომ რუსეთი ფეხზე ვერასდროს წამოდგეს. საბჭოეთის ძალა ხალხთა მეგობრობაშია. სწორედ ამის წინააღმდეგ იქნება მიმართული ომი რუსეთისთვის ტერიტორიების წართმევისკენ. განსაკუთრებული ძალით თავს წამოჰყოფს ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი, თვით ნაციებში წარმოიქმნება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები. გაჩნდებიან ახალი ბელადი-პიგმეები, თავიანთი ნაციების მტრები...“

რამდენად გამართლდა საბჭოეთის საჭეთმპყრობლის წინასწარმეტყველება, თქვენ თვითონ განსაჯეთ, მე კი ვიტყვი — ჩვენს უკუღმართ თანამედროვეობას სათავე ხიროსიმასა და ნაგასაკში დაედო.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს ეგხ. ვარძიის ქვესადგურ მარნეული 220-ში შეჭრის პროექტისათვის საძირკვლების და მასთან დაკავშირებული ლითონნაკეთობების შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ სახეობებსა და რაოდენობებზე:

რკინაბეტონის საძირკვლის ბლოკები და ფილები					
#	დასახელება	ტიპი	რაოდენობა, ცალი	ერთეულის მოცულობა $მ^3$	საერთო მოცულობა $მ^3$
1	საძირკველი	Ф2-05	4	0.95	3.8
2	საძირკველი	Ф3-А5М	30	1.8	54
3	საძირკველი	Ф5-А5М	18	2.50	45
4	საძირკველი	Ф6-А5М	12	2.7	32.4
5	საანკერო ფილა	ПА2-2	4	0.89	3.56
6	მისატვირთი ფილა	ПН-1-А	24	0.76	18.24
	სულ რკინა-ბეტონის კონსტრუქციები				157
ანძები და ლითონკონსტრუქციები					
#	დასახელება	ტიპი	რაოდენობა, ცალი	ერთეულის წონა კგ	საერთო წონა კგ
1	ფოლადის ანკერი - А2-1	А2-1	8	58.0	464
2	გამათანაბრებელი სადები კომპლექტში	D35a-1	60	13.0	780
3	საანკერო ჭანჭიკი 2 ქანჩით და საყელურით	М36Х220	250	6.0	1500
	სულ მთლიანად				2744

შენიშვნა:

ა) 2.3.4 პუნქტებში მოცემული ანაკრები საძირკვლები დაკომპლექტებული უნდა იყოს გამათანაბრებელი სადებებით, ქანჩ-ჭანჭიკებით და კონტრ ქანჩებით (ნახაზებში მოცემული სპეციფიკაციებით).

ბ) რკინაბეტონის საძირკვლები უნდა შეიღებოს ორი ფენა ბიტუმის ხსნარით.

● საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს იალღუჯის მთაზე მდებარე მარნეულის ქვესადგური 220-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დამკვეთის მიერ მითითებულ წერტილებში (დეტალური კოორდინატები **(სიტუაციური გეგმა)** მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში). საქონლის სრულად მოწოდების სასურველი ვადაა 45 კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან. საქონელის მოწოდება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად.

● საქონლის ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს ყველა ხარჯს, მათ შორის: ტრანსპორტირების და ჩამოცლის ხარჯს და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

● ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

● სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირ ვაჭრობისას („შემდგომში – ბიჯი“) თითოეული ეტაპისათვის შეადგენს არანაკლებ 1000 (ათასი) ლარი.

● საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ხარისხის სერტიფიკატი ან დამამზადებელი ქარხნის პასპორტი. საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი.

● საქონელს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს. საგარანტიო ვადა უნდა იყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 7 (შვიდი) წელი.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 5% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა 3 GE98LB0113117903752000 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის № T-02 G-02/2015.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 500-ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2015 წლის 24 აგვისტოს 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს 2015 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათამდე თბილისის დროით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2015 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (გარდა სერტიფიკატებისა და ქარხანა-დამამზადებლის პასპორტების ასლებისა), ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე, იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში, მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-02 G-02/2015.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში – ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: შესყიდვების მენეჯერი **თეა ტორიაშვილი,** ტელ: 577625485, ელ. ფოსტა: t.toriashvili@energotrans.com.ge; შესყიდვების მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ჭიჭინაძე,** ტელ: 577907707, ელ.ფოსტა: Giorgi.chichin adze@energotrans.com.ge

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

◎ ჭიდაობა

წყვილ-წყვილი ჯილდოებით



სამივე სინჯის ორ-ორი მედალი — ასეთი მაჩვენებლებით დაამთავრეს ასპარეზობა სერბულ სუბოტიცაში გამართულ ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა (თავისუფლებმა 10-დან 9 წონაში მოიპოვეს მედალი - 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო).

კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ხულოელი ლერი აბულაძე (54) და სართიჭალელი აივენგო რიკაძე (63). მხოლოდ ფინალებში დამარცხდნენ ბათუმელი დავით ფუტკარაძე (42) და ლანჩხუთელი გიორგი შოთაძე (46), ხოლო ხობელი ჯონი ხეცურიანი (58) და ბორჯომელი თემურ ჭკუასელიძე (76) მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები რუსეთის შემდეგ მეორეზე გავიდა.

აბულაძემ სომეხ ტიგრან მინასიანს (6:1), რუმინელ ალექსანდრუ ტრანდაფირს (3:2), გერმანელ ალექსანდრე გინცს (4:1) მოუგო, ფინალში კი რუსი დმიტრი ჩიგირევი 3:2 დაამარცხა.

რიკაძემ წარმატების იოტისოდენი შანსიც კი არ დაუტოვა რუმინელ ალექსანდრუ დოსოფტეის (9:0), მოლდოველ ანატოლი პოპოვს (6:0), ჩეხ იაკუბ ბილეშს (3:1), რუს ასლან ტოლოვს (8:5), გადამწყვეტ პაექრობაში კი უკრაინელ ფარვიზ ნასიბოვს 40 წამში სძლია.

ჩემპიონობამდე თითო მოგება დააკლდათ ფუტკარაძეს რუს ვლადიმირ ზაბეევოროტასა (1:2 დამარცხდა) და შოთაძეს თურქ კერემ კამალთან (1:10 წააგო).

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

მსოფლიოზე ქართველებისთვის ოქრო არ გაიმეტეს

სარაევოში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობა. ქართველმა ფალავნებმა ერთი ვერცხლი, სამი ბრინჯაოს მედალი და გუნდური მესამე ადგილი მოიპოვეს. საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში რუსეთთან დამარცხდა, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ყაზახეთს აჯობა. არადა, ივლისში ევროპის პირველობა მოიგო.

პირად პირველობაში ქართველთაგან ვერცხლის მედალი ბაგრატ ნინიაშვილმა (66) დაისაკუთრა, მესამე ადგილებზე კი რობინზონ ბეგლარიშვილი (60), ვანო ხუბაშვილი (55) და ონისე სანებლიძე (90) გავიდნენ. ამ უკანასკნელმა ამას წინათ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე გაიმარჯვა, ევროპის პირველობაზე პირადში მესამე ადგილი ხვდა, ხოლო გუნდური შეჯიბრება მოიგო. ამჯერად მან სტარტზე ლიტველი ანტანას კმილიაუსკასი კი დაამარცხა, მაგრამ მეოთხედფინალში რუს ხაჯი ადამ მუტალიევთან წააგო, ხოლო სანუგეშოში ავსტრიელ სებასტიან შნაიდერსა და იაპონელ კეისუკე ივაკის აჯობა და ბრინჯაო ერგო.

ლეძსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ჯობავამ ყველას აჯობა

გასულ კვირას ქართველმა დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ წარმატებით იასპარეზა ჰოლანდიის საჭადრაკო ფესტივალში, რომელშიც 15 ქვეყნის 242 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩვენებურმა შვიდი შეხვედრა მოიგო, ორ მეტოქეს დაუზავდა, ცხრა შესაძლებლობიდან რვა ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა ჰოლანდიელი ვან ფორესტი. ერთდროულად ექვსმა მოჭადრაკემ 7-7 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი ჩინელ ვან იუნგოს ხვდა.

რამაზ პატარაია

სურათზე: ბაადურ ჯობავა.

◎ მოვლენის წინ

ვარსკვლავთცვენა თბილისში

„რეალი“, „ლივერპული“, „ინტერი“, „ფეიენოორდი“, „ჰამბურგი“, „ანდერლეხტი“, „ნაპოლი“, „ვესტ ჰემი“ — ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ ტოპ-კლუბებისა, ვისაც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე აქამდე უთამაშია. დღეიდან ამ გრანდთა თანავარსკვლავედს „ბარსელონა“ და „სევილია“ შეემატებიან, რომელთა შეხვედრაც უეფას ევროპის სუპერთასისთვის „დინამო არენაზე“ 22 საათსა და 45 წუთზე დაიწყება. მატჩს შოტლანდიელი არბიტრი კალუმი გაუძღვება.

მეტოქეთა სადარბაზო ბარათებს ამავე გვერდზე გაეცნობით, ჩვენის მხრივ კი ფეხბურთის მხოლოდ იმ მეფისა თუ პრინცების ნუსხას გადავხედოთ, ვისაც აქამდე კატალონიელთა ბროწეულისფერი მაისური მოურგია: მარადონა, კრუიფი, ნეესკენსი, შუსტერი, სიმონსენი, ლაუდრუპი, კრანკლი, რონალდო, რივალდო, რონალდინიო, ლინეკერი...

რაც შეეხება თანამედროვეობის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ლეო მესის, მას, იმედია, დღეს სრული ბრწყინვალებით ვიხილავთ.

„ბარსელონა“

საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ (ესპ. FUtbol Club Barcelona და კატ. Futbol Club Barcelona), აგრეთვე ცნობილია, როგორც „ბარსა“ (ესპ. და კატ. Barça) — ესპანური საფეხბურთო კლუბი, რომელიც კატალონიის ავტონომიურ ოლქში — ბარსელონაში მდებარეობს. კლუბი 1899 წელს შვეიცარიელმა ჟოან გამპერმა სხვა რამდენიმე შვეიცარიელის, ინგლისელისა და კატალონიელის დახმარებით დააარსა. კლუბი კატალონიის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი დევიზი —„Mes que un club“ — „უფრო მეტი, ვიდრე კლუბი“. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონის“ გულშემატკივრები აგრეთვე ცნობილნი არიან სახელით „კულეს“ (cules).

„ბარსელონა“ ერთ-ერთი იყო 1928 წელს ესპანეთის ჩემპიონატის დამაარსებელთა შორის და ბილბაოს „ატლეტიკსა“ და მადრიდის „რეალთან“ ერთად იმ 3 გუნდს წარმოადგენს, რომლებსაც „პრიმერა დივიზიონი“ არასოდეს დაუტოვებიათ. „ბარსა“ გახდა ესპანეთის პირველი ჩემპიონიც. დღეისათვის იგი ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია ოფიციალური ჯილდოების მიხედვით. მის ანგარიშზეა 76 ტიტული: 23-გზის ესპანეთის ჩემპიონობა, 27 ესპანეთის თასი, 11 ესპანეთის სუპერთასი, 4 ევროპის ჩემპიონთა თასი, 4 თასების მფლობელთა თასი, 3 უეფას თასი და 4 უეფას სუპერთასი.

კლუბის მთავარი არენაა „კამპ ნოუ“, ევროპაში ყველაზე ტევადი სტადიონი. 2009 წლის 19 იანვრიდან „ბარსელონას“ პირველი საფეხბურთო გუნდი სპორტულ კომპლექს „სიუდად დეპორტივა ჟოან გამპერზე“ ვარჯიშობს. ის მდებარეობს სან-ჟოან-დესპიში, სტადიონიდან დასავლეთით რამდენიმე კილომეტრში.

2006-07 წლების სეზონზე „ბარსამ“ დაიკავა მესამე ადგილი მსოფლიოს ყველაზე მდიდარ კლუბებს შორის. მისმა შემოსავალმა შეადგინა 291,1 მლნ ევრო.

2007 წლის ივნისის მონაცემებით, „ბარსას“ ფანების — „სოსიოსების“ რაოდენობამ 156 366-ს მიაღწია. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული 1782 ფანკლუბის ოფიციალური წევრები არიან.

„ბარსა“ დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთ-ერთი იმ მცირე კლუბებიდან, რომლებმაც უარი თქვეს სპონსორის ლოგოების საფეხბურთო მაისურებზე გამოსახვაზე. თუმცა 2005 წელს „ბარსას“ მაისურებზე გამოჩნდა „TV3-ის“ ლოგო (კატალონიის ტელემაუწყებლობა) — მარცხენა მხარზე, ხოლო შორტებსა და საყელოზე გაჩნდა კატალონიის პატარა დროშა. 2006 წლის 14 ივლისს კლუბმა გამოაცხადა UNICEF-თან ხუთწლიანი შეთანხმების შესახებ, რომლის თანახმადაც UNICEF-ის ლოგო გუნდის ფორმაზე 2011 წლამდე იყო გამოსახული. 2012 წელს ხელი მოეწერა 5-წლიან შეთანხმებას არაკომერციულ კომპანია Qatar Foundation-თან, რომლის თანახმადაც კლუბი 30 მლნ ევროს იღებდა ყოველწლიურად.

2009 წელს „ბარსელონამ“ აჩვენა უნიკალური შედეგი, როცა გახდა ერთადერთი ევროპული კლუბი, რომელმაც სეზონის განმავლობაში მოიგო ყველა შესაძლო მსხვილი ტურნირი (სამი ეროვნული — ესპანეთის ჩემპიონატი, თასი და სუპერთასი და სამი საერთაშორისო — ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი).

2014 წლის 19 მაისიდან გუნდის მთავარი მწვრთნელია ლუის ენრიკე. იგი კლუბს სათავეში ჩაუდგა მას შემდეგ, რაც ხერარდო მარტინო წავიდა.

„სევილია“

საფეხბურთო კლუბი „სევილია“ დაარსდა 1905 წელს ანდალუსიის გუბერნატორის მონაწილეობით, კლუბის პრეზიდენტი გახდა ხოსე ლუის გალიეგოსი. მაგრამ კლუბმა პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა მხოლოდ 1908 წელს. ეს იყო შეხვედრა კიდევ ერთ ანდალუსიურ კლუბთან „რეკრეატივოსთან“. 1909 წელს მოხდა კონფლიქტი კლუბის ხელმძღვანელობაში, რის შედეგადაც სევილიის კლუბს გამოეყო საფეხბურთო კლუბი „ბეტისი“ და ეს გუნდი გახდა სევილიის მთავარი მოწინააღმდეგე. სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, „სევილიის“ გულშემატკივარი არის ქალაქის მოსახლეობის 40%.

1916/17 წლის სეზონიდან კლუბი რეგულარულად იგებდა ანდალუსიის თასს. 1929 წელს „სევილია“ გახდა სეგუნდა დივიზიონის გამარჯვებული, მაგრამ პლეი-ოფში ვერ შეძლო „რასინგ სანტანდერის“ დამარცხება და დარჩა სეგუნდაში. მეორე მცდელობა პრიმერაში მოხვედრისთვის იყო 1930-31 წლის სეზონში, თუმცა, კლუბს ცოტა დააკლდა და მხოლოდ მე-2 ადგილზე გავიდა სეგუნდაში. 1931/32 წლის სეზონში „ბეტისმა“ შეძლო და მოიპოვა პრიმერაში თამაშის უფლება. 2 წლის შემდეგ კი „სევილიაც“ გადავიდა პრიმერა დივიზიონში. 1935 წელს კი ორივე სევილიური კლუბი გახდა მთავარი ესპანური ტურნირების გამარჯვებულები — „ბეტისი“ პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი, „სევილია“ კი დაეუფლა ესპანეთის თასს.

სამოქალაქო ომის დროს ჩემპიონატი არ იმართებოდა და გაგრძელდა 1939 წელს. „სევილია“ შევიდა ესპანური ფეხბურთის ლიდერ კლუბთა სიაში და მეორედ მოიგო ქვეყნის თასი, 1939/40 წლის სეზონში კი გახდა ვიცე-ჩემპიონი. ეს შედეგი გაიმეორა კლუბმა 1942/43 წლებში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი კლუბი პირველად გახდა ესპანეთის ჩემპიონი. ეს იყო 1945/46 წლების სეზონი. ამის შემდეგ კლუბი აღარ გამხდარა ჩემპიონი. კლუბის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღოდა სევილიის მწვრთნელს რამონ ენსინასას. ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით „სევილიამ“ კიდევ ერთხელ აიღო ქვეყნის თასი 1947/48 წლის სეზონში.

კიდევ ერთი მცდელობა ჩემპიონობისთვის იყო 1950/51 წლებში, მაშინ “სევილიას“ „ატლეტიკომ“ გაუსწრო 2 ქულით. 1958 წელს დაარსდა კლუბის სარეზერვო გუნდი „სევილია ატლეტიკო“. 1968 წელს გუნდი გავარდა სეგუნდადან და დაბრუნდა მომდევნო წელს, თუმცა, 1970 წელს ისევ გავარდა და პრიმერაში ისევ დაბრუნება 1974/75 წლებში შეძლო. 1990 წლამდე კი იწყება პერიოდი, რა დროსაც კლუბი ვერ ახერხებს მაღალი ადგილების დაკავებას და იკავებს მხოლოდ დაბალ პოზიციებს. XX საუკუნის ბოლო წლებში კი რამდენიმე სეზონი ითამაშა სეგუნდა დივიზიონში.

2000/01 წლებში „სევილია“ იგებს სეგუნდას. 2003/04 წლებში აღწევს ესპანეთის თასის ნახევარფინალამდე და ამით მოიპოვა ევროთასების საგზური. ხუანდე რამოსის ხელმძღვანელობით კლუბი პირველად ისტორიის განმავლობაში ხდება უეფას თასის მფლობელი, „სევილიამ„ ფინალში ინგლისური „მიდლსბროს“ დამარცხება შეძლო ანგარიშით 4:0. შემდეგ კლუბს ელოდებოდა ახალი წარმატებები. პირველად შეძლო კლუბმა და მოიგო უეფას სუპერთასი, „სევილიამ“ „ბარსელონა“ 3:0 დაამარცხა. 2006/2007 წლის ესპანეთის თასის გათამაშებაში იმარჯვა „სევილიამ“ და ამავდროულად გახდა უეფას თასის მფლობელიც. „სევილიამ“ „ესპანიოლის“ დამარცხება შეძლო თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიაში. იმავე წელს კლუბი პირველად ეუფლება ესპანეთის სუპერთასს.

ამ ტრიუმფების შემდეგ კლუბს ტოვებს ხუანდე რამოსი და ანდალუსიელთა სათავეში მოდის მანოლო ხიმენესი, რომელმაც კლუბი გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში 2007/08 წლების სეზონში. აგვისტოში მოხდა ტრაგედია, რომელმაც შეძრა მთელი სამყარო, მოედანზე თამაშისას გონება დაკარგა და მალევე გარდაიცვალა ანტონიო პუერტა 22 წლის ასაკში. ის ითვლებოდა გუნდის უმთავრეს მოთამაშედ და განიხილებოდა ესპანეთის ეროვნული ნაკრების კანდიდატად. ხიმენესი დაეხმარა კლუბს ჩემპიონატში მე-3 ადგილის დაკავებაში და თასის მოპოვებაში. ამის შემდეგ იწყება პერიოდი, რომელშიც ხშირად იცვლებოდნენ მწვრთნელები. ეს დასრულდა 2013 წელს, როდესაც კლუბში მოვიდა უნაი ემერი, რომელმაც „სევილიას“ მოაპოვებინა მე-3 ადგილი ქვეყნის ჩემპიონატში. 2012/13 წლის ბოლოს წითელ-თეთრებმა დაიკავეს მე-9 ადგილი. ეს იყო ყველაზე ცუდი შედეგი კლუბისთვის უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, თუმცა, იმის წყალობით, რომ „მალაგას“ და „რაიო ვალეკანოს“ არ ჰქონდათ მოგვარებული ფინანსური პრობლემები, ამიტომ ისინი ვერ მოხვდნენ უეფას გათამაშებაში, ამის გამო კი „სევილიას“ მიეცა ევროპის ლიგაზე თამაშის უფლება. ამ პერიოდში კლუბმა გაყიდა თთავისი ლიდერი ალვარო ნეგრედო და ხესუს ნავასი „მანჩესტერ სიტიში“, მათ სანაცვლოდ მოყვანილი ფეხბურთელებით კი ემერიმ შეძლო ევროპის ლიგის ფინალში პორტუგალიური „ბენფიკიას“ დამარცხება თერთმეტმეტრიანი დარტყმებით.

◎ ჩოგბურთი

მეტრეველი მეხუთედაა პირველი

სტამბოლში დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით ითამაშა 21 წლის თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა. მან ზედიზედ დაამარცხა მასპინძელი ალპ სენტაი — 6:2, 6:4, იტალიელი ნიკოლო აპოსტოლიკო — 6:1, 6:1, ირლანდიელი დანიელ გლანსი — 6:1, 6:0 და ავსტრალიელი ბრედლი მაუსლი — 3:6, 7:6, 6:1. გადამწყვეტ პაექრობაში ესპანელ ხორდი ვივეს პირველი სეტი 6:2 მოიგო, ხოლო მეორეში 5:2 რომ დაწინაურდა, მეტოქემ ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო. და მთავარი პრიზი ქართველმა ჩოგბურთელმა დაისაკუთრა. მეტრეველისთვის ეს მეხუთე პირველი ადგილია 10.000-იან საერთაშორისო ტურნირებში. შარშან მან ყაზახეთში მოიგო მსგავსი შეჯიბრება, წლეულს ერთხელ თბილისში და სამჯერ კი თურქეთში გაიმარჯვა.

ამ კვირას მეტრეველი მინსკში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) ჩაებმება მეშვიდე ნომრად და პირველ მეტოქედ რუსი ალექსანდრ ბუბლიკი ეყოლება.

გივი გაგუა

სურათზე: ალექსანდრე მეტრეველი.

◎ ვინ არის მართალი?

„აღფრთოვანებული ვართ საქართველოში ჩამოსვლით“

ტურიზმის მატების სხვადასხვაგვარი შეფასება

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომიდან 7 წლის თავზე რუსეთიდან ტურისტების ნაკადმა თითქმის 8-ჯერ მოიმატა და საქართველოს ტურიზმის ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ჩამოყალიბდა. 2015 წლის პირველი ნახევრის წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ირკვევა, რომ რუსეთიდან ვიზიტიორების ნაკადი 12 პროცენტზე მეტად გაიზარდა.

თუ 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს საზღვარს რუსეთიდან სამხედრო ტექნიკის კოლონები კვეთდა, ახლა საზღვართან ვიზიტიორთა ავტომობილების რიგებია. რუსეთში არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებში საქართველოში დასვენება და მოგზაურობა გაცილებით ხელმისაწვდომია. რუსი ტურისტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქართველოში ყველაფერი იაფია. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც თბილისს მეუღლესთან ერთად ესტუმრა მოსკოველი ვლადიმირი. ის რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ავტომობილების დიდ რიგში თითქმის მთელი დღე იდგა და თბილისამდე მხოლოდ საღამოს 9 საათისთვის მოაღწია:

რუსეთის მხარეს მოქმედი ამ შეზღუდვის გამო საქართველოში მოგზაურობის მსურველებს რიგში დგომისას ღამის გათენებაც კი უწევთ და, მიუხედავად ასეთი დისკომფორტისა, ვლადიმირი მაინც კმაყოფილია:

„აღფრთოვანებული ვართ. გული გვწყდება, რომ ასე ცოტა დრო გვქონდა. ვფიქრობ, ჩვენ აქ აუცილებლად დავბრუნდებით. ძალიან მოგვეწონა გემრიელი სამზარეულო და ძველი ქალაქი, რომელშიც საღამოს ფეხით ვისეირნეთ. საზღვარზე 9 საათი დგომამ გაამართლა ჩვენი მოლოდინი“.

რუსეთიდან ვიზიტიორთა 12-პროცენტიანი მატების გარდა, ტრადიციულად, გაიზარდა საქართველოში მოგზაურთა რიცხვი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან - შესაბამისად, 8 და 11 პროცენტით. ტენდენცია უარყოფითისკენ შეიცვალა და 5 პროცენტით იკლო სტუმრების რაოდენობამ თურქეთიდან, რომელიც ჯერჯერობით ლიდერობას მაინც ინარჩუნებს. ტურისტების ნაკადის კლება აღინიშნება უკრაინიდან, 8 პროცენტის ოდენობით. ამ ტენდენციებიდან გამომდინარე, ოპტიმისტურად არის განწყობილი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე:

„საერთაშორისო მოგზაურების ზრდა დაფიქსირდა 7 თვის მონაცემებითაც. საერთაშორისო მოგზაურების ჯამურმა რაოდენობამ 3 069 999 შეადგინა, ზრდა კი 4.9%-ია“.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ რეგიონში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით გამოწვეულმა საერთაშორისო მოგზაურთა შემცირებამ აუცილებელი გახადა ბაზრების დივერსიფიკაცია და, შედეგად, ჩამოყალიბდა ახალი სამოქმედო გეგმა. გეგმის მიხედვით, ყველაზე დიდი აქცენტი იმ საერთაშორისო აქტივობებზე გაკეთდა, რომელიც ახალი ბაზრებიდან მოგზაურთა სტიმულირებას მოახდენდა, ასევე უკვე ათვისებულ ბაზრებზე სიტუაციას გამოასწორებდა. ამ სტრატეგიის შესაბამისად განხორციელდა მარკეტინგული კამპანიები მიზნობრივ ბაზრებზე (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ლატვია, უნგრეთი, ისრაელი, თურქეთი), ასევე განხორციელდა სარეკლამო კამპანიები საერთაშორისო მედიის საშუალებით. მოწვეული იქნა 300-მდე ჟურნალისტი საქართველოს ტურისტული პოტენციალის გასაცნობად და სხვა.

ტურიზმის ადმინისტრაციის სტრატეგიას და შედეგებს ტურიზმის სპეციალისტთა ნაწილი აკრიტიკებს. მათ შორის არის ტურისტული ბიზნესის წარმომადგენელი, ექსპერტი ვახტანგ ასათაშვილი:

„2015 წლის ივლისში ვიზიტების საერთო რაოდენობა 9.5 %-ით გაიზარდა, რაც ცოტათი ჩამორჩება 2014 წლის ზრდის ტენდენციას, რომელიც, 2013 წელთან შედარებით, 9.8 % იყო. 2015 წლის ტურიზმის ზრდა, 2014 წელთან შედარებით, მხოლოდ 2,2 %-ია. რატომ გვიხარია, როდესაც შეგვიძლია 2014 წლის დინამიკა ვნახოთ? იქ ხომ +21,6 % გვქონდა. რა გამოვიდა? თურმე საერთო ვიზიტიორთა ზრდის ტენდენციები 2014-სა და 2015-ში თითქმის იდენტური ყოფილა, ტურიზმის წილი კი 2015-ში ეცემა“.

პრობლემა, რომლის შესახებაც ვახტანგ ასათაშვილი ლაპარაკობდა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აისახება საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ის დიდი გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის კურსის სიმტკიცეზე. ახლა კი, ვიზიტიორების რაოდენობის თითქმის 5-პროცენტიანი ზრდის მიუხედავად, ლარის კურსი ვარდნას განაგრძობს.

კახა მჭედლიძე

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 2000-2005 წლებში სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საინჟინრო და საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი

ვალტერ გიორგის ძე კაშია

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია და კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

პანაშვიდი 11, 12 VIII, 17 სთ. გამოსვენება 13 VIII, 14 სთ. მისამართი: ისანი (მეტრომშენის დასახლება), ყვარლის ქუჩა 3, I სადარბაზო, მე-3 სართული, ბინა 30.

ინფორმაცია

2015 წლის 1 ოქტომბერს 12:00 საათზე ქალაქ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ტაბიძის ქ. №2 გაიმართება, აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის (126კმ- 143კმ) მოდერნიზების სამუშაოების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- 12:00 საათზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია).

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- მაკა სტამათელი ტელ: 599 19 68 39; E-mail: mszgc@access.sanet.ge
- მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk
- ლუიზა ბუბაშვილი ტელ: 595219141. likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ სტატისტიკა

53 000 სავაჭრო ადგილზე 45 000 კაცი ჩალიჩობს

სტატისტიკის სამსახურმა ბაზრების, ბაზრობებისა და ბაზრობის ტიპის საწარმოების 2014 წლის კვლევა გამოაქვეყნა

სტატისტიკის სამსახურის ცნობით, 2014 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 218 ეკონომიკური სუბიექტი (2,8 პროცენტით მეტი 2013 წელთან შედარებით), რომელთა 28,9 პროცენტი ქალაქ თბილისშია განთავსებული, 22,0 პროცენტი — იმერეთში, 11,5 პროცენტი — კახეთის რეგიონში, 11,0 პროცენტი — სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 8,3 — პროცენტი — ქვემო ქართლში, 6,0 პროცენტი — აჭარაში, დანარჩენი — შიდა ქართლის (4,1%), სამცხე-ჯავახეთის (2,7%), გურიის (2,3%), მცხეთა-მთიანეთის (1,8%), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (1,4%) რეგიონებში.

მათივე ინფორმაციით, ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის წილად მოდის 2014 წელს მოქმედი ბაზრობების საერთო რაოდენობის 76,2 პროცენტი, ინდივიდუალური მეწარმის წილად - 20,6 პროცენტი. ბაზრობების დანარჩენ ნაწილს გააჩნია კოოპერატივის (1,8%), სააქციო საზოგადოების (0,9%) და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0,5%) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ბაზრობების 95,9 პროცენტი კერძო საკუთრებაშია, 4,1 პროცენტი — სახელმწიფო საკუთრებაში.

„2014 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრები, ბაზრობები და ბაზრობის ტიპის საწარმოები განთავსებული იყო 1,7 მლნ კვადრატულ მეტრ ფართობზე. ამ ტერიტორიაზე განლაგებული დახლების სიგრძე 55,9 ათასი მეტრია, რომელთა 62,2 პროცენტი შენობაშია განთავსებული. ბაზრობებს გააჩნია 813 სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორია, 1235 შემნახველი საკანი (საწყობი) 27,5 ათასი კვ. მეტრი ფართობით, 0,7 ათ. ტ. ტევადობის 248 მაცივარი. 2014 წელს მოქმედი ბაზრობების 38,5 პროცენტი გადახურულია (ვაჭრობა შენობაში მიმდინარეობს), 33,0 პროცენტი ღია ტიპისაა (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობის გარეთ), 28,4 პროცენტი ნახევრადგადახურულია (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობაშიც და შენობის გარეთაც)“, — აცხადებენ სტატისტიკის სამსახურში.

მათივე ინფორმაციით, 2014 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ხორციელდება როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლით ვაჭრობა. 32,1 პროცენტი ვაჭრობს მხოლოდ სასურსათო საქონლით, 2 ბაზრობა ვაჭრობს მხოლოდ სასურსათო საქონლით. ბაზრობების 4,1 პროცენტი ვაჭრობს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით.

„ბაზრობების 62,8 პროცენტის ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობა ხორციელდება შერეული სახის (როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო) საქონლით. 5 ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობა მიმდინარეობს ავტომობილებითაც, 45 ბაზარში იყიდება ფრინველიც და პირუტყვიც. საქართველოს ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობა ორგანიზებულია კვირის სხვადასხვა დღეს: ყოველდღიური ვაჭრობა მიმდინარეობს

177 ბაზარში, საკვირაო ვაჭრობა — 20 ბაზარში, კვირა დღის გარდა ვაჭრობს 3 ბაზარი, 2 ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ შაბათს და კვირას, დანარჩენი ბაზრობის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ერთდღიანი, ორი ან სამდღიანი ვაჭრობა კვირის სხვადასხვა დღეებში. საქართველოში მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე 53,3 ათასი საავაჭრო ადგილია, სადაც საშუალოდ ერთ დღეში 45,0 ათასი კაცი ვაჭრობს“, — აცხადებენ საქსტატში.

მათივე ინფორმაციით, 2014 წელს ბაზრობების ორგანიზებით დაკავებულ საწარმოებში (ბაზრობების დირექციებში) დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3,4 ათას კაცს შეადგენდა, რომელთაგან 31,2 პროცენტი ქალია. დასაქმებულთა 45,7 პროცენტი ქ. თბილისზე მოდის, დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება. **„2014 წელს ბაზრების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების შემოსავალმა 134,1 მლნ ლარი შეადგინა. ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობის უფლებისათვის (ერთჯერადი გადასახდელის სახით) გადახდილია 59,4 მლნ ლარი, რაც ბაზრობების დირექციების შემოსავლების 44,2 პროცენტს შეადგენს, 47,7 პროცენტს შეადგენს შემოსავალი სავაჭრო ფართის გაქირავებიდან, 8,1 პროცენტი სხვა სახის შემოსავალია. 2014 წელს ბაზრობის ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დანახარჯებმა 96,6 მლნ ლარი შეადგინა, აქედან შრომის ანაზღაურებამ დასაქმებულ პერსონალზე — 29,9 მლნ ლარი“,** — აცხადებენ საქსტატში.

კობა კვაჭანტირაძე

◎ გამოიცა

ჭეშმარიტების ძიება „სამ საუნჯეში“

„1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, ძლევამოსილად დამთავრდა, გერმანია სავსებით განადგურებულია“. — ასე ამცნო 1945 წლის 9 მაისს უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალისიმუსმა იოსებ სტალინმა საბჭოთა ხალხს ფაშისტური გერმანიის დამარცხება და უსიტყვო კაპიტულაცია.

მრავალმილიონიანი, სხვადასხვა სარწმუნოების საბჭოელები, დიდი და პატარა სიხარულის ცრემლმორეულნი უსმენდნენ დიდ ბელადს, რომელმაც ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი გამოსვლისას თავის ხალხს ეს დიდი გამარჯვება უწინასწარმეტყველა: **„ამხანაგებო! ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება, მალე დარწმუნდეს ამაში... ხალხის მთელი ძალები — მტრის გასანადგურებლად! წინ, ჩვენი გამარჯვებისთვის!“**

დიახ, ოთხი წელი დასჭირდა კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტების განადგურებას, რომლებმაც დააჩოქეს ამაყი, ძლიერი ევროპა, მილიონობით ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფეს, გაანადგურეს და მიწასთან გასწორეს ასიათასობით ქალაქი და სოფელი, მსოფლიო ცივილიზაციას საფრთხე შეუქმნეს. ომების მეტი რა უნახავს კაცობრიობას თავისი ისტორიის მანძილზე, მაგრამ მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც თითქმის მთელი დედამიწის სახელმწიფოები ჩაერთნენ (პირდაპირ თუ ირიბად, მხედველობაში გვაქვს ფინანსური, პოლიტიკური, ამბიციური დამოკიდებულებები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს), თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით ყველა ომს აღემატება. ისტორია იტყვის თავის სათქმელს და თავის წილ გამარჯვებას არავის დაუკარგავს, მაგრამ უპირველესი გვირგვინი გამარჯვებულისა იოსებ სტალინს ერგება.



სწორედ მის დიდ მხედართმთავრულ ნიჭსა და საბჭოთა ხალხის გმირობაზე, ამ უსაშინლესი ომის (ზოგისთვის მეორე მსოფლიო ომად წოდებული, დედამიწის ერთი მეექვსედისათვის კი — სამამულო ომი) შესახებ, მისი დაწყების მიზეზებსა და ამ ომის შედეგებზე გვესაუბრებიან ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები ჟურნალ **„სამი საუნჯის“** წლევანდელ რიგით მეორე ნომერში.

ალმანახში, ტრადიციისამებრ მრავალ თემაზეა საუბარი უკვე დაკანონებულ და საინტერესო რუბრიკებში **„ქართლის ცხოვრება“, „ხელოვნება და ლიტერატურა“, „პოლიტიკა“** და **„თეოლოგია“**, მაგრამ უპრიანად მივიჩნიეთ, რომ მეორე მსოფლიო ომით დაგვეწყო (ჟურნალიც სწორედ ასე იწყება), რადგან ბატონ **ზურაბ ცუცქირიძის** სტატია **„დიდი სახალხო ომი“** მეტად საინტერესოდ, მიუკერძოებლად, ისტორიისა და მოვლენების ღრმა ცოდნითაა დაწერილი (როგორც ყოველთვის, სადაც კი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ბატონი ზურაბ ცუცქირიძის ნაშრომები ქვეყნდება როგორც ჟურნალ „სამ საუნჯეში“, ასევე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“). აქვე მოგახსენებთ, რომ რუბრიკით ლიტერატურა და ხელოვნება, შეგიძლიათ გაეცნოთ **ბორის დარჩიას** სტატიას **„ბრძოლები იოსებ სტალინის ლექსების წინააღმდეგ“**. ბევრს საშუალება ექნება, პირველად გაეცნოს სტალინის უშესანიშნავეს ლექსებს, რომლებშიც **„სოციალისტური და კომუნისტური არაფერია, პირიქით, პატრიოტიზმით, იმჟამინდელ მამულიშვილთა სიყვარულითაა განმსჭვალული“** (ბ. დ.).

* * *

ამავე ალმანახში ბატონ ბორის დარჩიას მეორე წერილსაც გაეცნობით, რომელიც უკვე საქართველოს ისტორიას ეხება — **„ლორეს სომხეთისთვის გადაცემის საკითხი“**. როგორ დაიკარგა საქართველოს ძირძველი ისტორიული ტერიტორია? რაც შეეხება ჩვენს უახლოეს მეზობლებს, სომხებს, მეტად საინტერესო ფაქტებითაა წარმოდგენილი სომეხთა გენოციდის თემა **თინა იველაშვილის წერილში „ცოტა რამ 1915-1918 წლების „სომხების გენოციდის ისტორიიდან“**. გაეცნობით მიზეზებს იმისას, თუ რამ გამოიწვია ის სისხლისღვრა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, რაც მსოფლიო ისტორიაში „სომეხთა გენოციდის“ სახელითაა ცნობილი და თემა, რომელიც ახლაც წამოიწია მსოფლიო პოლიტიკაში და ბევრი სახელმწიფოს ურთიერთდაპირისპირების საბაბად იქცა. რა ფაქტებს მალავს ისტორია და რითი „ითბობენ ხელს“ თანამედროვე პოლიტიკოსები?

* * *

ქალბატონი გვანცა კოპლატაძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტისტი, ამავე ჟურნალის რედაქტორის მოადგილე და ერთ-ერთი დამაარსებელი) მეტად საინტერესო და მტკივნეულ თემას ეხება თავის წერილში **„შინაური მტრები თუ ერონული მოღვაწეები“**. დაპირისპირება დიდ ილია ჭავჭავაძესთან. ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მაჩაბელი, რით იყვნენ გამწყრალნი და ერთმანეთთან დაპირისპირებულნი? რატომ გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ბზარი „თერგდალეულებსა“ და „მეორედასელებს“ შორის? მეტად საინტერესო და საწყენიცაა, როდესაც ერის უდიდესი წარმომადგენლები ერთმანეთსშორის დაპირისპირებით საერთო საქმეს ვნებენ. ვინ იყო მართალი? ამის გარკვევას წლები კი არა, საუკუნეები სჭირდება, მითუმეტეს ქართველთა ბუნებიდან გამომდინარე, როდესაც ყველას „პირველკაცობა“ სურს.

როგორც ყოველთვის, ჟურნალი „სამი საუნჯე“ შესანიშნავი და საინტერესო წერილებით არც ახლა დაგტოვებთ გულგრილს, ერთგულო მკითხველო.

მამუკა ვაშაკიძე

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ინფორმაცია

ცხინვალიდან დონეცკში ხე-ტყის გატანა იგეგმება

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი დონეცკის თვითგამოცხადებულ სახალხო რესპუბლიკას მაღაროების გასამაგრებელი სამუშაოების ჩასატარებლად ხის მასალას მიაწვდის.

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ დონეცკის დე ფაქტო ხელისუფლების ადმინისტრაციის მეთაურმა ევგენი ლავრენოვმა განაცხადა.

„ჩვენ ვიპოვეთ შესაძლებლობა ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან შემოვიტანოთ ხეტყე მაღაროელებისთვის. ამ დროისთვის ორგანიზაცია „დონბასის“ ქვანახშირი“ სამხრეთოსურ მხარესთან შესაბამის კონტრაქტს აფორმებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღებთ დამოუკიდებლობას ხეტყის მიღების კუთხით იმისთვის, რომ ვაწარმოოთ ქვანახშირის მოპოვება“, — აღნიშნეს დე ფაქტო ადმინისტრაციაში.

მათივე ცნობით, უკვე იგეგმება, რომ დონეცკში ცხინვალიდან ხეტყე ვაგონებით გაიგზავნება.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **თუ** შეიძლება, ჯერ ბაზარში წამიყვანეთ ყვავილების საყიდლად, მერე კი სადგურში, — ეუბნება ტიპი ტაქსისტს.

— ბაზარი არ არის, უფროსო!

— მაშინ პირდაპირ სადგურში წამიყვანეთ!

* * *

— **საინტერესოა**, თქვენი გოგო დედამისს ჰგავს?

— რა ვიცი, ჯერ ლაპარაკი არ დაუწყია.

* * *

— **ნუ** ტირი, — ეუბნება მომაკვდავი ქმარი ცოლს, — შენ აუცილებლად გათხოვდები...

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! აი, 10-15 წლით ადრე მაინც რომ მომკვდარიყავი, კიდევ ჰო...

* * *

— **გოგონი**, რამდენი წლისა ხართ?

— ოც წელზე ცოტა მეტის.

— უფრო ზუსტად?

— 38 წლისა.

* * *

— **მისთვის** ერთხელაც არ მიღალატია, — ეუბნება ნასტია დაქალს.

— არ მჯერა, ნუთუ მართლა არც ერთხელ?

— მართალს გეუბნები, არც ერთხელ, არ გამიმართლა რაღაცნაირად...

* * *

— **ძვირფასო**, — ეუბნება ქმარი ცოლს, — როდესაც შენთან სექსი მაქვს, სხვა ქალებზე ვფიქრობ.

— ოჰ, შე არამზადავ! მე კი, სხვათა შორის, მხოლოდ შენზე ვფიქრობ! მაშინაც კი, როდესაც სხვა კაცებთან მაქვს სექსი!

* * *

— **ახლახან** ცოლთან განვქორწინდი! — ეუბნება პეტკა ძმაკაცს.

— რატომ, რა მოხდა?

— შენ შეძლებდი გამოთაყვანებულ, ფრიგიდულ და პუტკუნა არსებასთან ცხოვრებას?

— ვერა.

— ჰოდა, ვერც ჩემმა ცოლმა შეძლო.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქოგულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე